



დირექტორთა საბჭო

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისათვის

R13-18

7 მარტი, 2018

შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭოს ანგარიში და შესაბამისობის ანალიზის პანელის ანგარიში პროექტის # 49223-001 - ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (საქართველო) შესაბამისობის ანალიზის მოთხოვნის დასაშვებობასთან დაკავშირებით

1. 2012 წლის ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის 182 პუნქტის შესაბამისად, შესაბამისობის ანალიზის პანელმა (ა) დაადგინა ზემოხსენებულ პროექტთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობა, (ბ) წარმოადგენს მისი დასაშვებობის ანგარიშს, თანდართულ საჩივართან და მენეჯმენტის პასუხთან ერთად და (გ) რეკომენდაციას უწევს საბჭოს, შესაბამისობის ანალიზის განხორციელებასთან დაკავშირებით.

2. შესაბამისობის ანალიზის პანელისა და მენეჯმენტის პასუხის სათანადო შესწავლის შემდეგ, შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭომ, 2018 წლის 23 თებერვალს მემორანდუმის სახით წარუდგინა ანგარიში დირექტორთა საბჭოს (შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭოს ანგარიში), რომელიც რეკომენდაციას უწევს საბჭოს (ა) ამ მომენტისათვის არ განახორციელოს შესაბამისობის ანალიზი, (ბ) დაამტკიცოს შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭოს ანგარიშის მე-3 პუნქტში მოცემული მიდგომა და (გ) მოახდინოს შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭოს ანგარიშის გასაჯაროება ADB- ს 2011 წლის საჯარო კომუნიკაციის პოლიტიკის შესაბამისად.

3. განხილვის მოთხოვნის არარსებობის და ხმის მიცემისგან თავის შეკავების ან წინააღმდეგობის არარსებობის შემთხვევაში (რომელიც სამდივნოსთვის მიწოდება უნდა მოხდეს 2018 წლის 21 მარტის სამუშაო დღის ბოლომდე), წინამდებარე დოკუმენტის მეორე პუნქტში წარმოდგენილი შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭოს რეკომენდაციები ჩაითვლება დამტკიცებულად და აღრიცხული იქნება საბჭოს

შესაბამისი სხდომის ოქმში. ხმის მიცემისგან ნებისმიერი თავშეკავება ან წინააღმდეგობა ასევე ასახული იქნება ოქმში.

შეკითხვებისთვის: როკა სანდა, სამდივნოს ოფისი (შიდა ნომერი. 5670)

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელება შეზღუდულია მანამ სანამ არ მოხდება მისი დამტკიცება დირექტორთა საბჭოს მიერ. აღნიშნული დამტკიცების შემდეგ, აზიის განვითარების ბანკი (ADB) მოახდენს დოკუმენტის გასაჯაროებას ADB-ის 2011 წლის საჯარო კომუნიკაციების პოლიტიკის შესაბამისად.



დირექტორთა საბჭო
შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭო (BCRC)

აზიის განვითარების ბანკი

დირექტორთა საბჭოს

ვიზონგ უმის
სამდივნოს გავლით

BCRC-ის თავმჯდომარის
ჰელმუტ ჰ. ფიშერისგან

საკითხი: დასაშვებობის ანგარიში: შესაბამისობის ანალიზის პანელის მოთხოვნა # 2017/4 GEO: ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტთან (პროექტის ნომერი 49223-001) დაკავშირებით

1. 2018 წლის 15 თებერვლის შეხვედრაზე, შესაბამისობის ანალიზის პანელმა (CRP) შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭოს (BCRC) წარუდგინა CRP-ის ანგარიში (დასაშვებობის ანგარიში) (დანართი 1) კონკრეტული საჩივრების (საჩივარი) შესაბამისობის ანალიზის დასაშვებობასთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულ იქნა CRP-ის მიერ საქართველოს ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტთან დაკავშირებით (პროექტი). BCRC-მა მოახდინა აზიის განვითარების ბანკის 2012 წლის ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (AM პოლიტიკა) კონტექსტში დასაშვებობის ანგარიში განხილვა. BCRC-მა კონსულტაცია გაიარა გენერალურ საბჭოსთან (GC), კერძო სექტორის ოპერაციების დეპარტამენტთან (PSOD) და მდგრადი განვითარებისა და კლიმატური ცვლილებების დეპარტამენტთან (SDCC), რომელთა წარმომადგენლები ასევე ესწრებოდნენ განხილვებს.
2. აღნიშნული პრეზენტაციების, განხილვების, კითხვა-პასუხებისა და ანალიზის შედეგად BCRC-მა:
 - ა) გაითვალისწინა, რომ CRP-ის დასაშვებობის ანგარიში და მასში მოცემული დასკვნები პირველადია და არ წარმოადგენს შესაბამისობის ან არა შესაბამისობის საბოლოო დასკვნას. CRP-ის შესაბამისობის ან არა შესაბამისობის საბოლოო დასკვნა ცნობილი გახდება მხოლოდ საბჭოს მიერ ნებადართული შესაბამისობის ანალიზის შემდეგ, AM პოლიტიკის 182-ს პარაგრაფის

შესაბამისად. CRP-ის დასაშვებობის ანგარიშის მიზანია მხოლოდ იმის განსაზღვრა დასაშვებია თუ არა საჩივარი, AM პოლიტიკის შესაბამისად.

ბ) თუმცა BCRC ასევე ითვალისწინებს, რომ დასაშვებობის ანგარიშში CRP-ის დასკვნები ემყარება სანდო მტკიცებულებებს, რომელიც ხელს უწყობს ADB-ის საოპერაციო პოლიტიკასა და პროცედურებთან შეუსაბამობის რამდენიმე მნიშვნელოვან სფეროსთან დაკავშირებით პირველადი დასკვნების ჩამოყალიბებას, რომელთა არ გამოსწორების ან გაუმჯობესების შემთხვევაში შესაძლოა პირდაპირი და მატერიალური ზიანი მიადგეთ პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ პირებს.

გ) BCRC ასევე ითვალისწინებს, რომ თუ საბჭო მოახდენს შესაბამისობის ანალიზის განხორციელებას, მაშინ აღნიშნული შესაბამისობის ანალიზსა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელი სამოქმედო გეგმის პროცედურებსა და ეტაპებს შესაძლოა ერთი წელიწადი ან მეტი დასჭირდეს, რომლის დროსაც პროექტი გაგრძელდება გაურკვევლობების ფონზე ან გადავადდება ან გაგრძელდება ADB-ის ჩართულობის გარეშე ან გაუქმდება.

3. შესაბამისობის ანალიზის ალტერნატივის სახით, BCRC საბჭო რეკომენდაციას უწევს შემდგომ მიდგომებს:

ა) BCRC აზიის განვითარების ბანკის მენეჯმენტს სთხოვს დასაშვებობის ანგარიშში გაითვალისწინოს CRP-ის დასკვნები და მოამზადოს შესაბამისობის ანგარიში/სამოქმედო გეგმა („მენეჯმენტის გეგმა“), რომელიც მოიცავს გამოსასწორებელ ან გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს და პასუხს გასცემს დასაშვებობის ანგარიშში შესაბამისობასთან დაკავშირებით დასმულ ნებისმიერ შეკითხვას;

ბ) BCRC ზემოაღნიშნულ მენეჯმენტის გეგმას განსახილველად გადაუგზავნის CRP-ს, რათა მიიღოს CRP-ის ხედვა აღნიშნულთან დაკავშირებით, იმის აღიარებით, რომ (i) CRP წარმოადგენს საბჭოს ნაწილს და არ წარმოადგენს ADB-ის მენეჯმენტის, PSOD-ის ან SDCC-ის მრჩეველს და (ii) CRP-ის ნებისმიერმა ხედვამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე CRP-ის დამოუკიდებლობას ან გავლენა იქონიოს CRP-ის როლზე შესაბამისობის შემდგომ ანალიზში;

გ) შემდგომ BCRC მოითხოვს მენეჯმენტის მიერ პროექტის შესახებ საბჭოს არაფორმალური სემინარის (IBS) ჩატარებას, დასაშვებობის ანგარიშსა და მენეჯმენტის გეგმაში CRP-ის დასკვნების ჩათვლით;

დ) IBS-ის და ADB-ის მენეჯმენტის მიერ საბჭოს წევრების მოსაზრებების მიღების შემდეგ, ADB-ის მენეჯმენტმა საბჭოს უნდა წარუდგინოს მენეჯმენტის საბოლოო გეგმა BCRC-ის გავლით, სწორედ ამ დროს ან შემდეგ ADB-ის მენეჯმენტს შეუძლია საბჭოს წარუდგინოს პრეზიდენტის ანგარიში (R-Paper) და რეკომენდაცია, საბჭოს მიერ პროექტის დამტკიცების მიზნით.

4. BCRC-იმ განსაზღვრა, რომ ზემოხსენებული ალტერნატივა, პროექტის გარემოებებიდან გამომდინარე უფრო მეტად მოახდენს რეაგირებას პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული პირების პრობლემებზე, პროექტის შემუშავებისა და იმპლემენტაციის დროს გამოსასწორებელი და გასაუმჯობესებელი ღონისძიებების უფრო სწრაფი ჩართულობით. შესაბამისად, ზემოხსენებული ალტერნატივა იქნება უფრო მეტად ეკონომიური და ეფექტური და უზრუნველყოფს AM პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას, ეფექტურობის გაუმჯობესებას, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ პირებთან რეაგირებასა და ADB-ს საოპერაციო პოლიტიკისა და პროცედურების ეფექტურად შესრულებას.

5. შესაბამისად, BCRC რეკომენდაციას უწევს საბჭოს:
 - ა) ამ ეტაპზე არ განახორციელოს პროექტის შესაბამისობის სრული ანალიზი;
 - ბ) დაამტკიცოს მე-3 პუნქტში მოცემული მიდგომა; და
 - გ) მოახდინოს წინამდებარე მემორანდუმის გასაჯაროება საჯარო კომუნიკაციის პოლიტიკის 86-ე პუნქტის შესაბამისად.
6. მოკლე ვადაში საბჭოს წარედგინება R-Paper დირექტორების მიერ განხილვის მიზნით.

დანართი: წარდგენის შემდეგ

ასლი: BCRC-ის წევრები

CRP-ის თავმჯდომარე

გენერალური საბჭო

მდივნის თანაშემწე

მრჩეველი, OCRP

მდივანი, BCRC



დასაშვებობის ანგარიში

შესაბამისობის ანალიზის პანელის მოთხოვნა # 2017/4 GEO: ნენსკრას
ჰიდროელექტროსადგურის პროექტთან დაკავშირებით
(პროექტის ნომერი 49223-001)

2018 წლის 8 თებერვალი

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელება შეზღუდულია მანამ სანამ არ მოხდება მისი დამტკიცება დირექტორთა საბჭოს მიერ. აღნიშნული დამტკიცების შემდეგ, აზიის განვითარების ბანკი (ADB) მოახდენს დოკუმენტის გასაჯაროებას ADB-ის 2011 წლის საჯარო კომუნიკაციების პოლიტიკის შესაბამისად.

აბრევიატურები

ADB	– აზიის განვითარების ბანკი
AMP	– ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკა
CRP	– შესაბამისობის ანალიზის პანელი
EBRD	– ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EIA	– გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EMP	– გარემოსდაცვითი მართვის გეგმა
EPC	– პროექტირება-შესყიდვები-მშენებლობა
	– გარემოზე და სოციალურ სტრუქტურაზე ზემოქმედების შეფასება
ESIA	– გარემოსდაცვითი და სოციალური სტრუქტურის მართვის გეგმა
ESMP	– საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა
GSE	– ჰიდროელექტროსადგურის პროექტი
HPP	– მკვიდრი ხალხები
IP	– ექსპერტთა საერთაშორისო პანელი
IPOE	– არა ნებაყოფლობითი განსახლება
IR	– სააქციო საზოგადოება ნენსკრა ჰიდრო
JSCNH	– მიწის შესყიდვა და საარსებო პირობების აღდგენის გეგმა
LALRP	– გარანტის პოლიტიკის განცხადება
SPS	– SLR-ის მიერ საფრანგეთის SAS-ის კონსულტირება
SLR	– გვირაბის მთხრელი მანქანა
TBM	

წონები და ზომები

ჰა	– ჰექტარი
კმ	– კილომეტრი
კვ	– კილოვოლტი
მ	– მეტრი
მვ	– მეგავატი

შენიშვნა

წინამდებარე ანგარიშში, “\$” გულისხმობს აშშ დოლარს

ნებისმიერი ქვეყნის პროგრამის ან სტრატეგიის მომზადების, ან პროექტის დაფინანსებისას, ან ამ დოკუმენტში რაიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე ან გეოგრაფიულ არეალზე მინიშნებისა თუ მისი მოხსენიებისას, აზიის განვითარების ბანკი მიზნად არ ისახავს გააკეთოს რაიმე შეფასება ტერიტორიის ან არეალის სამართლებრივი ან სხვა სტატუსის შესახებ.

CONTENTS

	Page
I. შესავალი	1
II. პროექტი	1
III. საჩივარი	3
IV. მენეჯმენტის პასუხი	4
V. დასაშვებობა	5
A. შეუსაბამობის მტკიცებულება	6
1. საგარანტიო პოლიტიკის განცხადება, დანართი 3 - მკვიდრი მოსახლეობა	8
2. საგარანტიო პოლიტიკის განცხადება, დანართი 1 - გარემო	8
a. პროექტის ალტერნატივების განხილვა	8
b. დაკავშირებული ობიექტები	9
c. გარემოზე კუმულატიური ზემოქმედება	11
d. კონკრეტული გარემო და სოციალური ზემოქმედება	11
i. გეოლოგია	11
ii. კაშხლის უსაფრთხოება	13
iii. ბიომრავალფეროვნება	15
iv. კლიმატური ცვლილება	16
ხმაური, ვიბრაცია, დაბინძურება,	
v. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	17
გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის	
e. გეგმა	20
3. საგარანტიო პოლიტიკის განცხადება, დანართი 2 - არანებაყოფლობითი განსახლება	
4. SPS კონსულტაცია და ჩართულობა	24
B.	
არსებობს თუ არა პირველადი მტკიცებულება სავარაუდო ზიანისათვის, რომელიც დაკავშირებულია ADB- ის საოპერაციო პოლიტიკისა და პროცედურების შეუსაბამობასთან?	26
C. შეუსაბამობა	27
VI. შესაბამისობის ანალიზის პანელის განსაზღვრა	27
დანართები	
1. შესაბამისობის ანალიზის მოთხოვნა	29
2. ADB-ის მენეჯმენტის პასუხი	34

I. შესავალი


1. 2017 წლის 7 დეკემბერს, შესაბამისობის ანალიზის პანელს (CRP) გადმოეგზავნა საჩივარი, შესაბამის ანალიზის მოთხოვნით, აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ შეთავაზებული კერძო სექტორის სესხთან დაკავშირებით, ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტისათვის (პროექტის ნომერი 49223-001). ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკისა (AMP) და მისი საოპერაციო პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად,¹ CRP-მა საწყის ეტაპზე შეაფასა საჩივარი და განსაზღვრა, რომ იგი ჯდება შესაბამისობის ანალიზის ფუნქციის მანდატის ფარგლებში და შესაბამისად გაგრძელდა იმის შეფასება თუ რამდენად დასაშვებია იყო პროექტის შესაბამისობის ანალიზი.

2. წინამდებარე ანგარიშში შეჯამებულია CRP-ის დასკვნები საჩივრის შესაბამისობის ანალიზზე დასაშვებობასთან დაკავშირებით.

II. პროექტი

3. პროექტი ხორციელდება ვიწრო, თვალწარმტაც მთის ხეობაში - მდინარე ნენსკრას ხეობაში, რომელიც მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რუსეთის საზღვართან ახლოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. ხეობა დასახლებულია 1,100 მუდმივი მაცხოვრებლით (268 ოჯახი), რომლებიც ცხოვრობენ მდინარის გასწვრივ 13 სოფელში. კაშხალი, წყალსაცავი და ჰიდროელექტროსადგური მდებარეობს მდინარე ნენსკრას ხეობაში, თუმცა წყალსაცავში წყლის ჩადინება მოხდება ასევე ხეობის ახლომდებარე, ნაკრას მდინარიდან, ნაკრას მდინარის ხეობაში მოხდება წყალშემკრები დამბის მშენებლობა და წყალი გვირაბის გავლით მიეწოდება წყალსაცავს. ნაკრას ხეობის ხუთ სოფელში 300 მუდმივი მოსახლე ცხოვრობს (85 ოჯახი). ორივე ხეობის მოსახლეობის

გრაფიკი 1: საქართველოს რუკა, რომელზეც ნაჩვენებია ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური



¹ აზიის განვითარების ბანკი (ADB). 2012. ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკა. მანილა და ADB. 2012. ანგარიშვალდებულების მექანიზმის საოპერაციო სახელმძღვანელო ნაწილი (OM ნაწილი L1: ბანკის პოლიტიკა და საოპერაციო პროცედურები). გამოცემულია 2012 წლის 24 მაისს, მანილაში.

წყარო: <https://www.salini-impregilo.com/en/projects/in-progress/dams-hydroelectric-plants-hydraulic-works/nenskra-hydroelectric-project.html>

უმრავლესობა დაბადებულია აღნიშნულ რეგიონში; ეროვნებით ქართველია და მიეკუთვნება სვანეთის ეთნიკურ ჯგუფს.

4. პროექტი გულისხმობს ჩვეულებრივი მაღალი, რეზერვუარის ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, ექსპლუატაციასა და ტექნიკურ უზრუნველყოფას, რომლის ნომინალური მოცულობაც იქნება 280 მგვტ. წყალსაცავი შედგება 125 მეტრის სიმაღლის ასფალტის ზედაპირის მქონე, ქვებით აგებული კაშხლისგან, მდინარე ნენსკრას ზედა ნაწილში, რომელსაც შეუძლია 182 მილიონი კუბური მეტრი წყლის შენახვა. კაშხლის ზედაპირი ზღვის დონიდან 870 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ნენსკრას წყალსაცავიდან წყალი 15 კმ სიგრძის ბეტონის საყრდენი გვირაბის გავლით მიეწოდება ელექტრო სადგურს. ელექტრო სადგური შედგება სამი 93 მეგავატიანი ენერჯო აგრეგატისგან და მდებარეობს კაშხლიდან 17 კმ-ის ქვემოთ. მდინარე ნაკრას წყალშემკრები აშენდება მდინარეზე და 12 კმ-იანი გადამცემი გვირაბით უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას ნენსკრას წყალსაცავში. გადამცემი ხაზი, რომელიც მოახდენს პროექტის მიერ წარმოქმნილი ელექტროენერჯის გადანაწილებას, არ წარმოადგენს აღნიშნული პროექტის ნაწილს. გადამცემი ხაზების მოწყობა და მართვა მოხდება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (GSE) მიერ. პროექტი მოახდენს ელექტროენერჯის მიყიდვას ელექტროენერჯის სისტემის ოპერატორისათვის ელექტროენერჯის 36 წლიანი ნასყიდობის ხელშეკრულებით. შემდგომ მოხდება პროექტის საქართველოს მთავრობისთვის გადაცემა.

5. მთავრობამ პროექტის მომზადება დაიწყო 2009 წელს, 2011 წელს დასრულდა მიზანშეწონილობის კვლევა. 2015 წელს დასრულდა გარემოზე და სოციალურ სტრუქტურაზე ზემოქმედების კვლევა (ESIA 2015), რომლის საფუძველზეც მთავრობამ 2015 წლის ოქტომბერში მიიღო ეკოლოგიური ნებართვა. ESIA-ს დამატებითი კვლევები ჩატარდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (IFI-ები) კრედიტორი ჯგუფების მოთხოვნის შესაბამისად, 2017 წლის შუაში, საქართველოში გამართული საკონსულტაციო შეხვედრებისას მოხდა ESIA-ს (2017) ინგლისური ვერსიის. ESIA-ს (2017) ინგლისური ვერსიის ჩასწორებული ვარიანტი განთავსდა პროექტის ADB-ის ვებ-გვერდზე.² მოსალოდნელია, რომ პროექტის იმპლემენტაცია დაიწყება 2018 წლის მეორე ნახევარში და მშენებლობის ეტაპის ხანგრძლივობა იქნება 5 წელიწადი. პროექტს გააჩნია გარკვეული კომპონენტები, რომლებიც

² თუ სხვაგვარად არ იქნა განმარტებული, წინამდებარე დოკუმენტში ნახსენები ESIA გულისხმობს სააქციო საზოგადოება ნენსკრა ჰიდროს დამატებით გარემოსა და სოციალური სტრუქტურის კვლევას, რომელიც შედგება 10 ტომისგან და დანართებისგან, რომელთა ADB-თვის მიწოდება მოხდა როგორც ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოზე და სოციალურ სტრუქტურაზე ზემოქმედების შეფასება, ინგლისურ ენაზე, რომელიც თარიღდება 2017 წლის ნოემბრით და რომელიც განთავსდა პროექტის ADB-ის ვებგვერდზე <https://www.adb.org/projects/documents/geo-49223-001-esia-0>.

საჭიროებს დასრულებას. ეს გულისხმობს: (i) ადგილმდებარეობა, ნაკრას ხეობამდე მისასვლელი გზის გაფართოება და განახლება; (ii) ნაყარი გრუნტის განთავსების ადგილები ელექტროსადგურთან; (iii) 35 კვტ ელექტრო მომსახურების ხაზის შექმნა ელექტროსადგურსა და კაშხალს შორის; და (iv) 110 კვტ ელექტრო მომარაგების ხაზის გაყვანა ახალი ქვესადგურიდან ელექტრო სადგურამდე, რომელიც საჭიროა მშენებლობის პერიოდში; და (v) ნენსკრას ხეობამდე მისასვლელი გზის გაყვანა ასევე განხილვის სტადიაშია. რადგან კვლავაც არ დასრულებულა აღნიშნული კომპონენტების დაპროექტება და ლოკაციის განსაზღვრა, ჯერ კიდევ უნდა მოხდეს მათი გარემოსა და განსახლების თემებზე ზემოქმედების განსაზღვრა და შეფასება.

6. პროექტის სპონსორი არია სააქციო საზოგადოება ნენსკრა ჰიდრო (JSCNH), საქართველოში მოქმედი სპეციალური იურიდიული პირი, რომელიც შეიქმნა პროექტის შემუშავებისა და ექსპლუატაციის მიზნით. JSCNH სრულად ფლობს კორეის წყლის რესურსების კორპორაცია (K-water), რომელიც შეიქმნა 1967 წელს, როგორც წყალმომარაგების მართვის კომპანია, რომელიც სრულად გახლავს კორეის მთავრობის მფლობელობაში. პროექტის ჯამური ღირებულება, მათ შორის შემუშავების და დაფინანსების ხარჯები, შეადგენს 1, 040 მილიონ აშშ დოლარს. პროექტის დაფინანსება მოხდება 30%-იანი წილით და 70% სესხით. K-Water-ის და მთავრობის გარდა, საკრედიტო დაფინანსების მიღება მოსალოდნელია კორეის EXIM ბანკიდან, ევროპის საინვესტიციო ბანკიდან (EIB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD), რომელიც, როგორც მოსალოდნელია მოახდენს წილობრივი კრედიტის გაცემას. აზიის განვითარების ბანკის მხრიდან შეთავაზებული დახმარება მოიცავს (i) 214 მილიონ აშშ დოლარამდე სესხს; (ii) 100 მილიონ აშშ დოლარამდე ე.წ. ბ სესხს; და (iii) პოლიტიკური რისკების გარანტიას (PRG) რომელიც დაფარავს ADB-ს ბ სესხის ძირითადი თანხის 97.5 მილიონ აშშ დოლარამდე, პლიუს პროცენტის განაკვეთს და PRG გადასახადებს. ADB პროექტში ჩაერთო 2015 წლის დასაწყისში.


III. საჩივარი

7. წინამდებარე საჩივრის წარდგენა მოხდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი 10 პირის მიერ, რომლებმაც საკუთარი თავის იდენტიფიცირება მოახდინეს, როგორც სვანეთის ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა და მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების - ნაკრას და ჭუბერის მცხოვრებლებმა. მომჩივანი პირებმა ითხოვეს მათი ვინაობის კონფიდენციალობის დაცვა. მომჩინავთა თხოვნით, მათ წარმოადგენენ დავით ჭიპაშვილი და მანანა კოჭლაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია მწვანე ალტერნატივის წარმომადგენლები.

8. მომჩივანთა განცხადებით, მათ, როგორც გარვეულ გამორჩეულ ჯგუფს უარი ეთქვათ პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობაზე, რამაც მათი თქმით მკაფიო და მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მათ ტრადიციულ სოციალურ სტრუქტურაზე. მათივე განცხადებით არასაკმარისი და არასათანადო საჯარო კონსულტაციები განხორციელდა გარემოზე და სოციალურ სტრუქტურაზე ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრისას. მომჩივანთა აზრით, პროექტი გარკვეულ გეოგრაფიულ რისკებს შეუქმნის მთის მოსახლეობას, მეწყერებისა და ღვარცოფების სახით; გამოიწვევს ეკოლოგიური ნაკადების შემცირებას; მიკრო კლიმატთან დაკავშირებული ჯანმრთელობისა და სოფლის მეურნეობის საკითხების გამწვავებას და საერთო ჯამში ნეგატიურ გავლენას იქონიებს სვანეთის ტრადიციულ საზოგადოებაზე და ცხოვრების წესზე (საჩივრის სანახავად იხ. წინამდებარე ანგარიშის დანართი 1).

9. მიუხედავად მათი ძალისხმევებისა, შეშფოთების და პროტესტისა თუ წერილობითი ფორმით მიმართვისა, მათი საკითხების დასმა არ მომხდარა პროექტის არც ერთ დოკუმენტში. კრედიტორთა ჯგუფისადმი, მათ შორის ADB-თვის გაგზავნილ იქნა რამდენიმე მომჩივანის მიერ ხელმოწერილი სულ მცირე ორი წერილი (ერთი 2017 წლის ივლისის, ხოლო მეორე სექტემბრის თვეში). მომჩივანებმა საჩივარი გაუგზავნეს ასევე ADB-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმს და მათი საჩივარი ა საჩივრის მიმღები პირის მიერ გადაეგზავნა CRP-ს, 2017 წლის 7 დეკემბერს.

გრაფიკი 2: მდინარე ნენსკრას ხეობის ნაწილი



წყარო: მწვანე ალტერნატივა, "არ ააგოთ კაშხლები მდინარეებზე - ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის ისტორია, სვანეთი, საქართველო" <http://greenalt.org/news/dont-dam-the-rivers-the-story-of-nenskra-hydropower-plant-in-svaneti-georgia/>

IV. მენეჯმენტის პასუხი

10. CRP-სადმი გაგზავნილ პასუხში, ADB-ის მენეჯმენტმა უპასუხა საჩივარში დასმულ რამდენიმე პრობლემას და შეაჯამა პროექტის მიერ გარანტიის პოლიტიკის განცხადებასთან³ შესაბამისობის კუთხით გატარებული ღონისძიებები. (მენეჯმენტის პასუხის სრულად სანახავად, იხილეთ წინამდებარე ანგარიშის დანართი 2).

11. კერძოდ, ADB-ის მენეჯმენტმა განაცხადა, რომ მან განახორციელა კომპლექსური შესწავლა, რათა დაედგინა სვანეთის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ SPS-ის მე-3 საგარანტიო მოთხოვნების გამოყენება. ADB-ის მენეჯმენტის დასკვნით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი აღნიშნული ჯგუფი არ ავლენს IP სკრინინგის ყველა მახასიათებელს, რომელიც განისაზღვრება SPS-ის მიერ და შესაბამისად არ შეიძლება იქნას მიჩნეული ისეთ ჯგუფად, რომელიც გამოიწვევს IP-თვის SPS-ის მე-3 საგარანტიო მოთხოვნების გამოყენებას. ამასთანავე სვანების პროექტისადმი მოწყვლადობა არ გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ისინი რეგიონის მკვიდრ ხალხებს წარმოადგენენ. ADB-ის მენეჯმენტის პასუხში შემდგომ ნათქვამია, რომ სვანების არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ მოწყვლადობასთან დაკავშირებული რისკები განისაზღვრა სოციალურ სტრუქტურაზე ზემოქმედების შეფასებაში და მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) შემარბილებელ ქმედებებში და პროექტის გარემოსდაცვით და სოციალური სტრუქტურის მართვის გეგმაში (ESMP).

12. თავის პასუხში ADB-ის მენეჯმენტმა ასევე განაცხადა, რომ მან განახორციელა კომპლექსური შესწავლა და 2016-2017 წლებში გამართული კონსულტაციების საფუძველზე განაახლა 2015 წლის LALRP, რათა მასში უკეთ ყოფილიყო ასახული არა-ნებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებული SPS-ის საგარანტიო მოთხოვნები. პასუხში ასევე აღნიშნული იყო, რომ 2016 წელს ჩატარდა დამატებითი კვლევა საძოვრების დაკარგვის თემაზე, როგორც პროექტის საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის ნაწილი; ჩატარდა მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული მიმდინარე და განხორციელებული ქმედებების შესაბამისობის აუდიტი და მომზადდა გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა. განუხორციელებელი კომპონენტებისათვის, პროექტი მომავალში შეაფასებს, მოამზადებს და გაასაჯაროებს LALRP-ის დამატებას.

13. ADB-ის მენეჯმენტის წერილში აღწერილია, თუ როგორ მოხდა გარემოსდაცვით ასპექტებთან დაკავშირებით კომპლექსური შესწავლის განხორციელება, გარემოსდაცვით საკითხებზე SPS-ის საგარანტიო მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, კერძოდ დამატებითი კვლევების განხორციელებით ჰიდროლოგიის, წყლის ხარისხის, ბუნებრივი საფრთხეების, კაშხალის უსაფრთხოების, ბიომრავალფეროვნების და სოციალურ სტრუქტურაზე ზემოქმედების კუთხით. ასევე აღნიშნული იყო, რომ ადრეული სამუშაოები იქნა ჩატარებული გარემოსდაცვითი აუდიტის კუთხით; შემუშავებულ იქნა გამოსასწორებელი ქმედებები; საიტზე განთავსდა გარემოს დამატებითი კვლევები; მოხდა ESMP-ის გადასინჯვა კრედიტორებისგან მიღებული დასკვნების საფუძველზე; მოხდა ალტერნატივების და კუმულატიური ზემოქმედების ანალიზი; მოხდა ESIA-ს შემარბილებელი ღონისძიებების განმტკიცება ESMP-ისა და EPC კონტრაქტებში. ამასთანავე შეიქმნა საერთაშორისო ექსპერტთა პანელი (IPOE) კაშხლის უსაფრთხოების, ბუნებრივი რისკებისა

³ ADB. 2009 გარანტიის პოლიტიკის განაცხადი. მანილა და მისი თანმხლები საოპერაციო სახელმძღვანელო, ნაწილი 1 ვ. გამოცემულია 2013 წლის 1 ოქტომბერს და ხელმისაწვდომია <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/32056/safeguard-policy-statement-june2009.pdf> და <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/31483/om-f1-20131001.pdf>, respectively.

და სოციალური სტრუქტურის კუთხით არსებული თემების უფრო მეტად გასამლიერებლად. აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდა კრედიტორთა, მათ შორის ADB-ის საგარანტიო მოთხოვნების შესაბამისად; პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის პრობლემების გათვალისწინებით. არსებობს პროექტის გარკვეული კომპონენტი, რომელიც დასასრულებელია, როგორცაა ნაკრას წყალშემკრებ დამბამდე მისასვლელი გზა, კაშხლიდან ნაკრას წყალშემკრებამდე ელექტროენერჯის ხაზების გაყვანა, გვირაბის გამყვანი მანქანის ლოკაციები. პროექტის აღნიშნული დაუსრულებელი კომპონენტებისთვის განხორციელდება გარემოსდაცვით და განსახლების საკითხებთან დაკავშირებული შეფასებები. სხვა დაკავშირებული ობიექტებისათვის (როგორცაა ახალი ქვესადგური, გადამცემი ხაზი და ელექტროენერჯის განაწილებასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა) გარემოზე და სოციალურ სტრუქტურაზე ზემოქმედების სრული კვლევა განხორციელდება EBRD-ის ფინანსური მხარდაჭერით. ADB-ის მენეჯმენტის განცხადებით, მათ ინტენსიური კონსულტაციები აქვს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან, 2015 წელს პროექტში ADB-ის ჩართვის შემდეგ.

V. დასაშვებობა

14. AMP-ის 179-ე პუნქტის შესაბამისად, CRP განსაზღვრავს საჩივრის დასაშვებობას, როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ.

მენეჯმენტის პასუხის მიღებიდან 21 დღეში, CRP განსაზღვრავს საჩივრის დასაშვებობას. CRP განიხილავს საჩივარს, მენეჯმენტის პასუხს და სხვა შესაბამის დოკუმენტებს. საჩივრის დასაშვებობისათვის, CRP უნდა დარწმუნდეს, რომ საჩივარი აკმაყოფილებს დასაშვებობის ყველა კრიტერიუმს და არ განეკუთვნება გამონაკლისს (პუნქტი 142 და პუნქტები 145-149). CRP უნდა დარწმუნდეს, რომ (i) არსებობს არა შესაბამისობის მტკიცებულება; (ii) არსებობს მტკიცებულება, რომ შეუსაბამობამ გამოიწვია და ან შესაძლოა გამოიწვიოს პირდაპირი და მატერიალური ზიანი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისადმი; და (iii) შეუსაბამობა იმდენად სერიოზულია, რომ იძლევა შესაბამისობის ანალიზის გარანტიას.

15. წინამდებარე ანგარიში ეფუძნება CRP-ის მიერ საჩივრის შეფასებას, ADB-ის მენეჯმენტის პასუხს; ADB-ის PSOD-ისა და EBRD-ის თანამშრომლებთან სატელეფონო საუბრებს და PSOD-გან მიღებული დოკუმენტების ანალიზს. CRP-მა PSOD-გან მიიღო დოკუმენტები კატეგორიების მიხედვით IP-თვის (მკვიდრი ხალხები), არა ნებაყოფლობითი განსახლებისთვის (IR), და გარემოსდაცვითი გარანტიის პოლიტიკისთვის, ასევე პროექტის მიმოხილვა და ფინანსური გეგმა, PSOD-ის მიერ პროექტის სპონსორებისათვის გაგზავნილი კომუნიკაციების ასლები, კრედიტორების ტექნიკური მრჩევლების მიერ მომზადებული დოკუმენტები და ერთი ოპერაციის ანგარიში, რომელიც თარიღდება 2017 წლის 30 აგვისტოთი. CRP-მა მოითხოვა ყველა განხორციელებული მისიის ოპერაციის ანგარიში, მაგრამ ADB-ის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით არ მოხდა მათი მიწოდება. CRP-მა ასევე მოითხოვა კრედიტორების ტექნიკური მრჩევლების დამატებითი ანგარიშები, რომელიც ADB-ის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით ასევე არ იქნა მიწოდებული. AMP-ის 137 (i) პუნქტი განსაზღვრავს, რომ ADB-ის მენეჯმენტი და თანამშრომლები უზრუნველყოფენ, რომ CRP-ს ჰქონდეს სრული წვდომა პროექტთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და მათი ფუნქციების განხორციელებაზე. CRP-მა საქართველოში 2018 წლის 14-19 იანვარს განხორციელა დასაშვებობის მისია, CRP ეწვია პროექტის ადგილს; გამართა შეხვედრები მომჩივანებთან და მათ წარმომადგენლებთან; არჩეულ და საჯარო მოხელეებთან და პროექტირება-შესყიდვა-მშენებლობის (EPC) კონტრაქტორთან და პროექტის ადგილას მომუშავე JSCNH-ის თანამშრომლებთან. თემში ვიზიტისას CRP-მა შეძლო ათი მომჩივანიდან ხუთის ვინაობის

დადგება. CRP ასევე ესაუბრა რამდენიმე კონსულტანტს, რომელთაც წვლილი შეიტანეს ESIA-ს განხორციელებაში. მისიის დროს ასევე ჩატარდა შეხვედრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში. მისია დაკომპლექტებული იყო არნტრაუდ ჰარტმანითა და აჟაი დემპანდითი, რომლებიც წარმოადგენენ CRP-ის ნახევარ-განაკვეთიან წევრებს და ჟოზეფინა მირანდათი, რომელიც არის შესაბამისობის ანალიზის პანელის ოფისის შესაბამისობის ანალიზის ოფიცერი.

16. წინამდებარე ანგარიშისთვის განხორციელებული შეფასება თავისი მასშტაბით შეზღუდულია. მისი მიზანია განსაზღვროს არსებობს თუ არა შეუსაბამობის დასადგენად საკმარისი პირველადი მტკიცებულება, ასევე საფრთხეები ან CRP-თვის შესაძლო საფრთხეები, რათა მოხდეს საბჭოსათვის რეკომენდაციის მიწოდება, იმასთან დაკავშირებით უნდა მოხდეს თუ არა შესაბამისობის სრული ანალიზის განხორციელება. წინამდებარე დასაშვებობის ანგარიშში გაკეთებული შეფასება სრულყოფილად არ აფასებს ADB-ის შეუსაბამობას, მის საოპერაციო პოლიტიკასა და პროცედურებთან. შესაძლებელია არსებობდეს შეუსაბამობის სხვა საკითხებით, რომლებიც არ არის განხილული დასაშვებობის ანგარიშში. CRP-ის მიერ დასაშვებობის ეტაპზე გაკეთებული განსაზღვრებები ნებისმიერ შემთხვევაში არ იქონიებს გავლენას მის დასკვნებზე შესაბამისობის სრული ანალიზის ჩატარების შემდეგ, თუ მოხდება საბჭოს მიერ მისი რეკომენდირება და დამტკიცება.

A. შეუსაბამობის მტკიცებულება

17. CRP განიხილავს SPS-თან და მის თანმხლებ, 2013 წლის 1 ოქტომბერს გამოცემულ საოპერაციო სახელმძღვანელოსთან (OM ნაწილი F1) შეუსაბამობის პირველად მტკიცებულებას. CRP მიმართავს გარემოსდაცვით გარანტიებს: საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო (დოკუმენტის სამუშაო პროექტი) (დეკემბერი 2012); არა ნებაყოფლობითი განსახლების გარანტიებს: საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოს შემუშავება და იმპლემენტაცია (დოკუმენტის სამუშაო პროექტი) (ივნისი 2013)⁴, როგორც მეორადი წყარო იმის დასადაგენად თუ როგორი აღნიშნული პოლიტიკის გამოყენების საუკეთესო პრაქტიკა. ADB-ის მიერ პროექტის კატეგორიების განსაზღვრა მოხდა შემდეგნაირად - „ა“ გარემოზე ზემოქმედებისთვის; „ბ“ არა-ნებაყოფლობით განსახლებაზე ზემოქმედებისთვის და „გ“ მკვიდრ მოსახლეობაზე ზემოქმედებისთვის.

1.საგარანტიო პოლიტიკის განცხადება, დანართი 3 - მკვიდრი ხალხები

საგარანტიო პოლიტიკის განცხადება (SPS), დანართი 3, პუნქტი 6

“ოპერაციული მიზნებისთვის, ტერმინი მკვიდრი მოსახლეობა გამოიყენება ზოგადი მნიშვნელობით როცა საუბარია გამორჩეულ, მოწყვლად, სოციალურ და კულტურულ ჯგუფზე, რომელიც სხვადასხვა დონეზე გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით:

- (i) *გამორჩეული, მკვიდრი, კულტურული ჯგუფის წევრებად თვით იდენტიფიკაცია და აღნიშნული იდენტობის სხვების მიერ აღიარება;*
- (ii) *კოლექტიური მიჯაჭვულობა გეოგრაფიულად გამორჩეული ჰაბიტატებისადმი, პროექტის არეალში და ბუნებრივი რესურსებისადმი;*
- (iii) *ტრადიციული კულტურული, ეკონომიკური, სოციალური ან პოლიტიკური ინსტიტუტები, რომელიც განსხვავდება დომინანტი საზოგადოებისა და კულტურის ინსტიტუტებისგან; და*
- (iv) *გამორჩეული ენა, რომელიც ხშირად განსხვავდება ქვეყნის ეროვნული ენისგან ან რეგიონის ენისგან.”*

18. მომჩივანთა განცხადებით ისინი არიან სვანები და უნდა მოხდეს SPS-ის მე-3 საგარანტიო მოთხოვნის: მკვიდრი ხალხები ამოქმედება: “იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ წარმოვადგენთ მკვიდრ მოსახლეობას, რომელიც რამდენიმე ათასი წელია ცხოვრობს აღნიშნულ რეგიონში, ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა მომხდარიყო მკვიდრი ხალხების პოლიტიკის გამოყენება და მთავრობას ისევე როგორც პროექტის სპონსორებს უნდა ეკითხათ ჩვენთვის გვსურდა თუ არა მსგავსი ტიპის პროექტის განხორციელება”. ADB-მ პროექტს მიანიჭა „გ“ კატეგორია და განმარტა, რომ არ ხდება SPS-ის, მესამე დანართის მეექვსე პუნქტის (iii) კრიტერიუმის დაკმაყოფილება, რადგან „სვანები სრულად არიან ჩართულნი საქართველოს სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ

⁴ აღნიშნული სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/33739/files/environment-safeguards-good-practices-sourcebook-draft.pdf>; <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/32827/files/ir-good-practices-sourcebook-draft.pdf>; და <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/33748/files/ip-good-practices-sourcebook-draft.pdf>, respectively. წინამდებარე დოკუმენტში აღნიშნული სახელმძღვანელოების მითითებისას საუბარი იქნება საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო გარემოზე ზემოქმედებაზე; საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო IR გარანტიებზე; საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო IP გარანტიებზე.

სისტემაში”. მიუხედავად იმისა, რომ სვანებს გააჩნიათ კონკრეტული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, სულიერი კულტურა, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და კონფლიქტების სასამართლომდე მოგვარების ღონისძიებები, აღნიშნული ტრადიციები და პრაქტიკა მაინც წარმოადგენს ქართული კულტურის ინტეგრირებულ ნაწილს. უფრო მეტიც, კატეგორიის განმარტებაში ნათქვამია, რომ არ არსებობს ჩანაწერები, რომ სვანები საქართველოს სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით წარმოადგენდნენ მარგინალიზებულ და მოწყვლად სოციალურ და კულტურულ ჯგუფს.

19. შეფასება ეფუძნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ექსპერტის მიერ მოწოდებულ დასკვნას. აღნიშნული შეფასება ინტეგრირებულ იქნა ESIA-ში.⁵ CRP ინფორმირებულ იქნა, რომ მკვიდრი ხალხების პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ექსპერტის აღნიშნული დასკვნის საფუძველზე. IPOE-ში ჩართულმა ექსპერტმა, CRP-თან სატელეფონო საუბრისას ასევე ახსენა ზემოხსენებული ექსპერტის დასკვნა. ეთნოლოგიური ექსპერტის აზრით სვანებში გავრცელებული ტრადიციები არ განსხვავდება საქართველოს სხვა მთიან რეგიონების ტრადიციებისგან და არ არის დამახასიათებელი მხოლოდ სვანეთისთვის. CRP აღნიშნავს, რომ განალიზებული აკადემიური კვლევების საფუძველზე, არსებობს ერთი მოსაზრება, რომლის თანახმადაც, სვანების ტრადიციები და კულტურა მკაფიოდ განსხვავდება სხვა ქართული ჯგუფების კულტურისა და ტრადიციებისგან, ისევე როგორც მედიაციის პროცესები რომელიც ხორციელდება უხუცესების მიერ საქართველოს სხვა მთიან რეგიონებში. აკადემიურ წრეებში სვანების სამართლებრივი პრაქტიკა წარმოადგენს კვლევის საგანს. კვლევაში წარმოდგენილი სვანების სამართლებრივი სისტემა, რომელიც სავალდებულო სვანური საზოგადოებისთვის, საქართველოს ეროვნულ სამართლებრივ ნორმებთან და პროცესებთან ერთად. აკადემიური ლიტერატურის თანახმად, გრძელდება ისეთი ტრადიციები, რომლებიც მხოლოდ სვანურ საზოგადოებაშია გავრცელებული და მათი კლასიფიკაცია შესაძლებელია როგორც კულტურული და სოციალური ინსტიტუტების.⁶ CRP -ის მოვალეობა არ არის ექვ ქვეშ დააყენოს ESIA-ში ჩართული ექსპერტის მოსაზრება, თუმცა CRP-ის აზრით და IP გარანტიებზე საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოს 33-3 პუნქტის რეკომენდაციით, კატეგორიების განსაზღვრის ეტაპზე ADB-ის თანამშრომლებს კონსულტაცია უნდა გაეწოდოს არა მხოლოდ ადგილობრივ მკვლევართან, არამედ სოციალური მეცნიერებების ექსპერტთან და IP თემებზე მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ADB-ის თანამშრომლების პირდაპირი ურთიერთობა სვანებთან, მათი კულტურის უკეთ შეფასებისათვის, ასევე სასარგებლო იქნებოდა დამატებითი ინფორმაციის მიღების კუთხით. IP ზემოქმედების კატეგორიის ხელმოწერა მოხდა მხოლოდ 2017 წლის ოქტომბერში. არსებული მონაცემების თანახმად, ADB-ის საგარანტიო თანამშრომლებმა რამდენიმე ვიზიტი განახორციელეს საქართველოში 2015-2017 წლებში და აქტიურად იყვნენ ჩართულები გარანტიებთან დაკავშირებულ პროცესებში. CRP-ის აზრით, IP ზემოქმედების კატეგორიის განსაზღვრისას, ADB-ის თანამშრომლები არ დაეყრდნობოდნენ მხოლოდ ერთ ექსპერტს, არამედ რამდენიმე საექსპერტო წყაროს.

⁵ Footnote 2, თავი 1, გვერდი 12 და თავი 3, გვერდები 22-26.

⁶ Koehler, J., 1999. Parallele und integrierte Rechtssysteme in einer postsowjetischen Peripherie: Swantien im Hohen Kaukasus, In: E. Alber and J.M. Eckert, eds., *Settling of Land Conflicts by Mediation*. Berlin and Frankfurt: TZ, pp. 246-66; *State and Legal Practice in the Caucasus: Anthropological Perspectives on Law and Politics*, edited by Stephane Voel and Iwona Kaliszewska, Farnham: Ashgate, 2015; Voell, S. 2012 a. *Local Legal Conceptions in Svan Villages in the Lowlands*. Caucasus Analytical digest 42, pp. 2-4; Voell, S. 2013. *Traditional Law in Georgia*. Caucasus Analytical Digest, 42. Voell, S., Jalabadze, N. Janiashvili, L. and Kamm, E. 2014. *Identity and Traditional Law: Local Legal Conceptions in Svan Villages (Georgia)*. *Anthropological Journal of European Cultures* 23(2), pp.98-118; Zigon, J. 2011. *Multiple Moralities: Discourses, Practices, and Breakdowns in Post Soviet Russia*. In: J. Zigon, ed. *Multiple Moralities and Religions in Post-Soviet Russia*, New York and Oxford: Berghahn, pp 3-15; Dadunashvili, Elguja, 2011: *Volksreligiöse Praktiken bei den Svanen*. GZW. Ökumenischens Forum für Glauben und Gesellschaft in Ost und West 6 (2011). S. 24-26.

20. მიუხედავად იმისა, რომ CRP-ს გააჩნია გარკვეული პრობლემები IP კატეგორიის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ჩატარებული კვლევებისა და ინტერვიუების საფუძველზე CRP აღიარებს, რომ სვანეთის საზოგადოება არ არის არც ეკონომიკურად და არც სოციალურად მარგინალიზებული, იმის გამო რომ მიეკუთვნება სვანეთის სოციალურ და კულტურულ ჯგუფს. მიუხედავად იმისა, რომ ნენსკრას ხეობაში შემოსავლის დონე საშუალო ეროვნულ დონეზე დაბალია და მოსახლეობა მოწყვლადია, მათი შემოსავლის დონე არ არის საქართველოს სხვა მთიან რეგიონში არსებულ შემოსავლის დონეზე დაბალი. მათი მოწყვლადობა განპირობებულია ნენსკრას და ნაკრას ხეობებში შემოსავლის გამომუშავების შესაძლებლობების ნაკლებობით. როგორც SPS-ის მესამე დანართის მეექვსე პარაგრაფი განმარტავს, IP პოლიტიკა ვრცელდება გამორჩეულ, მოწყვლად, სოციალურ და კულტურულ ჯგუფზე და რადგან საქართველოში სვანები არ წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს, რაც დაკავშირებული იქნებოდა მათი გამორჩეული სოციალური და კულტურული ჯგუფის სტატუსთან, CRP ეთანხმება ESIA-სა და ADB-ის მოსაზრებას, რომ არ უნდა მოხდეს IP პოლიტიკის ამოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ CRP თანახმაა, რომ არ უნდა მოხდეს IP პოლიტიკის ამოქმედება, მისი აზრით, აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სვანეთის კულტურას. საკუთარი კულტურის მქონე მოსახლეობას უკვე მნიშვნელოვანი ზიანი მიაღწია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის (1947-1960) აშენებით, როდესაც დაიტბორა სვანეთის რამდენიმე სოფელი, ხოლო ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მიერ ხეობისათვის შესაძლო რისკები უკვე დამტკიცებულია. წინამდებარე დასაშვებობის ანგარიში მიიჩნევს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას და სვანეთის კულტურას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება ვიწრო ხეობაში სულ მცირე მომდევნო 5 წლის განმავლობაში, მშენებლობის პერიოდში (წინამდებარე ანგარიშის 50-51 პუნქტები) დიდი რაოდენობით მუშების ჩასვლით და რაღაც ეტაპზე ეკონომიკური განსახლებითაც, სამოვრებიდან და ეკო-სერვისების დაკარგვითაც, ტყეების დაზიანებით (წინამდებარე ანგარიში 58-64 პუნქტები). IP პოლიტიკის არ ამოქმედების გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება შესაბამისი შეფასების და სვანეთის მოსახლეობაზე სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით ზემოქმედების მტკიცე შემარბილებლების არსებობის აუცილებლობას, რომელშიც სათანადოდ იქნება ასახული სვანეთის კულტურის შესაბამისი მახასიათებლები. აღნიშნული უნდა იყოს სოციალური ზემოქმედების შეფასებისა და შემარბილებელი ღონისძიებების ცენტრალური ორიენტირი.

21. **დასკვნა.** CRP-მა ვერ აღმოაჩინა პირველადი მტკიცებულება იმისა, რომ უნდა ამოქმედდეს -ის მე-3 საგარანტიო მოთხოვნა: მკვიდრი ხალხები.

2. საგარანტიო პოლიტიკის განცხადება, დანართი 1 - გარემო

a. პროექტის ალტერნატივების განხილვა

SPS, დანართი 1, პუნქტი 4

"გარემოსდაცვითი შეფასება არის ზოგადი ტერმინი, რომელიც გამოიყენება გარემოსდაცვითი ანალიზის პროცესის აღწერისა და პროექტთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების და რისკების გამოსწორების მიზნით. პროექტის მომზადების ადრეულ ეტაპზე მსესხებელი / კლიენტი განსაზღვრავს გარემოზე ფიზიკური, ბიოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და ფიზიკური კულტურული რესურსების პოტენციურ, პირდაპირი, ირიბი, კუმულაციური ზემოქმედების რისკებს და განსაზღვრავს მათ მნიშვნელობას და მასშტაბებს, დაინტერესებულ მხარეებთან მათ შორის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან და დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შედეგად. თუ მოხდება გარემოზე პოტენციურად უარყოფითი ზემოქმედების და რისკების იდენტიფიცირება, მსესხებელი / კლიენტი განახორციელებს გარემოზე ზემოქმედების

შეფასებას პროექტის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე. პროექტის პოტენციურად მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენის შემთხვევაში, რომელიც მრავალფეროვანი, შეუქცევადი ან უპრეცედენტოა, მსესხებელი / კლიენტი შეისწავლის პროექტის ადგილმდებარეობის, დიზაინის, ტექნოლოგიებისა და კომპონენტების ალტერნატივებს, რათა მოხდეს მათი თავიდან აცილება, თუ თავიდან აცილება შეუძლებელია, მაშინ მოხდეს ზემოქმედებისა და რისკების მინიმუმამდე დაყვანა. პროექტის სათანადო ადგილმდებარეობა, დიზაინი, ტექნოლოგია და კომპონენტების შერჩევის საფუძველი სათანადოდ იქნება დოკუმენტირებული, მათ შორის, ხარჯთაღრიცხვის ანალიზი, გარემოსდაცვითი ხარჯებისა და სხვადასხვა ალტერნატივების გათვალისწინებით მიღებული სარგებელი. ასევე უნდა იქნას განხილული "არანაირი პროექტის" ალტერნატივა."

22. ESIA წარმოადგენს ალტერნატივების შეზღუდულ შეფასებას. აღნიშნულია, რომ შეფასება შეზღუდულია, რადგან ESIA დამატებითი კვლევების მიხედვით, შეფასების ჩატარების დროისათვის უკვე განსაზღვრულ-დამტკიცებული იქნა კაშხლის ადგილმდებარეობა, ტიპი და სიმაღლე. JSCNH-თან უკვე გაფორმებული იყო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავდა საოპერაციო რეჟიმს, ფიქსირებულ ადგილს და დასრულებულ პროექტს. (იხილეთ ESIA, ტომი 2, გვ. 7). ESIA შეხება ESIA-ს (2015) მიერ ჩატარებულ წინასწარ შეფასებას, მაგრამ აღნიშნავს, რომ კვლევები, რომლებიც შეიცავს ალტერნატივების შეფასებას, კონფიდენციალურია.⁷ CRP-ს არ ჰქონდა წვდომა აღნიშნულ კვლევებზე. ADB-ის ვებ-გვერდზე განთავსებული ESIA არ შეესაბამება SPS-ს, დანართ 1-ის, მე-4 პუნქტის მოთხოვნებს. ანალიზი შეიცავს ჰესების ალტერნატივების ზოგად შეფასებას, თუმცა დიდწილად ყურადღება გამახვილებულია ნენსკრა და ნაკრას პროექტის სტრუქტურების პროექტის ალტერნატივების შეფასებაზე. ნენსკრას მდინარის კალაპოტში ჰესის ადგილმდებარეობა გათვალისწინებულია. ალტერნატივების შეფასება არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ შემოთავაზებული პროექტი რამდენად არის ყველაზე ნაკლები ზემოქმედების მქონე, მთავრობის მიერ მოთხოვნილი ელექტროენერჯის წარმოების მიზნების მისაღწევად. ESIA აღნიშნავს, რომ "საქართველოს მთავრობის მიერ სტრატეგიული დონის ალტერნატივების შერჩევა არ ეფუძნებოდა: (i) სექტორულ გარემოსდაცვით შეფასებას, რათა განესხვავებინა ენერჯო სექტორის ფარგლებში სხვა ალტერნატიული სტრატეგიები და საინვესტიციო პროგრამები, ან (ii) რეგიონალურ გარემოსდაცვით შეფასებას, რათა შეედარებინა განვითარების ალტერნატიული სცენარი. ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის ალტერნატივების ანალიზი არ არის ფორმირებული სექტორის ან რეგიონალური გარემოსდაცვითი შეფასების მიხედვით."⁸ ESIA-ის აზრით, ნენსკრას ჰესთან დაკავშირებული გადაწყვეტილება წარმოადგენს პოლიტიკურ უპირატესობას, რომელი შეფასებასაც ESIA არ აპირებს როგორც "მიზანი არ არის ... გამოცდილებაზე დაყრდნობით გაამართლოს, თუ რატომ არის შემოთავაზებული ნენსკრას ჰესი, ყველაზე ნაკლები ზემოქმედების მქონე ალტერნატივა, მთავრობის მიერ მოთხოვნილი ელექტროენერჯის წარმოების მიზნების მისაღწევად".⁹

⁷ საილუსტრაციო მასალა 2, ტომი 2, გვერდი 7

⁸ საილუსტრაციო მასალა 2, ტომი 2, გვერდი 8

⁹ საილუსტრაციო მასალა 2, ტომი 2, გვერდი 7

23. ალტერნატივების შეფასება ასევე არ ითვალისწინებს ალტერნატივების სოციალური და ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასებას. ის გულისხმობს მხოლოდ განსაზღვრული პროექტის ფარგლებში გარემოსდაცვითი ზემოქმედების შესამცირებლად განხორციელებულ მაკორექტირებელ ღონისძიებებს.¹⁰ სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც მოწოდებულია გარემოს დაცვის უსაფრთხოების შესახებ პრაქტიკულ სახელმძღვანელო წყაროებში: "SPS მოითხოვს ყველა A კატეგორიის პროექტის ალტერნატივების ანალიზს, რათა დადგინდეს პროექტის განხორციელების საუკეთესო მეთოდი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების მინიმიზაციის დროს. ეს ანალიზი გარემოს შეფასების პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან ითვალისწინებს გარემოსდაცვით და სოციალურ მოსაზრებებს ადრეული გადაწყვეტილების მიღების პროცესში"¹¹. ასეთი შეფასება ESIA-ში არ არის გათვალისწინებული. მომზადდა საექსპლუატაციო დანახარჯების ანალიზი, რომელიც დაასკვნის, რომ პროექტის საარსებო მინიმუმი გამართლებულია იმ პირობით, რომ სატრანსპორტო შეთანხმებაში შეთანხმებული ენერგეტიკული ტარიფი უფრო დაბალია, ვიდრე მსოფლიო ბანკის საშუალო მაჩვენებელი საქართველოსთვის.¹² ძალიან შეზღუდული დასაშვებობის შეფასება ვერ განიხილავს საარსებო მინიმუმის ანალიზის ძირითადი ფასის ვარაუდის მიზანშეწონილობას და, შესაბამისად, არ შეუძლია მიიღოს პოზიცია იმის შესახებ, თუ რამდენად ადეკვატურად აისახება პროექტის ხარჯები ზოგადად ეკონომიკაზე და საზოგადოებაზე.

24. **დასკვნა:** ADB-ს ვებ გვერდზე გამოქვეყნებული (2017 წლის ნოემბერი) ESIA მოიცავს ალტერნატივების შეზღუდულ შეფასებას, რომელიც არ შეესაბამება SPS-ის, დანართ 1-ის, მე-4 პარაგრაფის მოთხოვნებს. აღნიშნული განსაკუთრებით არ მოიცავს ალტერნატივების სოციალური და ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასებას. შესაძლებელია, რომ ESIA-ს მოსამზადებლად (2015) ჩატარებული კვლევები მოიცავდეს ასეთ შეფასებებს, მაგრამ ეს კვლევები არ არის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ დომეინში. ამგვარად, CRP ამტკიცებს შეუსაბამობის პირველადი მტკიცებულებას SPS-ის საგარანტიო მოთხოვნებთან 1 (დანართი 1, პუნქტი 4).

b. დაკავშირებული ობიექტები

SPS, დანართი 1, პუნქტი 6, (ii)

"*ზემოქმედება და რისკები განიხილება პროექტის გავლენის სფეროს კონტექსტში. ზემოქმედების ეს სფერო მოიცავს (i) (ii) დაკავშირებულ ობიექტებს, რომლებიც არ არის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში (დაფინანსება უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცალკე, მსესხებლის / კლიენტის მიერ ან მესამე მხარის მიერ) და რომლის სიცოცხლისუნარიანობა და არსებობა დამოკიდებულია ექსპლუატიურად პროექტზე და რომელთა საქონელი ან მომსახურება აუცილებელია პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის... "*

¹⁰ საილუსტრაციო მასალა 2, ტომი 2, გვ 26-30

¹¹ საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო რესურსები, გვ 33

¹² Castalia Limited, ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის ეკონომიკური ეფექტურობის ანალიზი, 2017 წლის ივლისის ანგარიში <http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Nenskras%20Hidroelektrosadguris%20Proektis%20Ekonomikuri%20Sargeblanobis%20Analizi%201787%20geo.pdf>.

25. SPS-ის, დანართი 1, პუნქტი. 6 მოითხოვს, რომ ESIA-მ შეაფასოს დაკავშირებული ობიექტების ზემოქმედება და რისკები. CRP აღნიშნავს, რომ (i) პროექტს გააჩნია დაკავშირებული ობიექტები და (ii) მათი ზემოქმედება და რისკი არ იქნა შეფასებული ESIA-ის ფარგლებში. სამაგიეროდ, გადამცემი ხაზების შეფასება განხორციელდება სპონსორის - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (GES) მიერ. პროექტის სპონსორმა JSCNH-მ GES-თან შეთანხმდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების უზრუნველსაყოფად საჭირო მოთხოვნები, კრედიტორების პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად. ESIA ტომი. 3, გვ. 5, პუნქტი 1.1.4 განმარტავს:

59. პროექტი გამოიწვევს მხოლოდ ეკონომიკურ განსახლებას და არა ფიზიკური გადაადგილებას. LALRP-მა გამოავლინა 89 დაზარალებული ოჯახი (392 ადამიანი) მიწების, არასაცხოვრებელი ნაგებობების, ხეების და კულტურის დაკარგვის გამო. არსებობს სამი სასამოვრე ტერიტორია: მომავალი რეზერვუარის მახლობლად მდებარე მაჩლიჭალის ტერიტორია, ქვემო მემული, სადაც მდებარეობს სამშენებლო ბანაკი და ლაგირი, სამოვრების არეალი ნაკრას წყალმემკრები აუზის სიახლოვეს მდებარე სამოვრები. განსახლების შედეგად დაზარალებულ ოჯახთა რაოდენობა გაიზრდება, რადგან დამატებითი კომპონენტები გამოვლინდება. უფრო მეტიც, სამოვრების დროებითი ან სამუდამო დაკარგვით დაზარალებული ოჯახების განხილვა კვლავ გრძელდება და სამოვრებზე ხელმისაწვდომობის დაკარგვით დაზარალებული ოჯახების რიცხვი უფრო მაღალია.³² LALRP-ის შესაბამისობის აუდიტი ჩატარდა კრედიტორებისთვის და განთავსებულია ADB-ის ვებგვერდზე.³³ შესაბამისობის აუდიტმა გამოავლინა ნაწილობრივი შესაბამისობა და ჩამოაყალიბა მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა კრედიტორების პოლიტიკასთან სრულ შესაბამისობაში. რადგან CRP აფასებს საჩივარში დასმულ საჭირობოტო საკითხებს, იგი არ აფასებს შესაბამისობის აუდიტში დასმულ სფეროებს, რომლებიც საჭიროებს შემდგომ შესწორებას.

60. CRP შეშფოთებულია მოხდა თუ არა სამოვრების ტერიტორიების დაკარგვის სათანადო კომპენსაცია (მშენებლობის პერიოდში, მუდმივი და დროებითი). მომჩივნები ამბობენ, რომ მათ აქვთ მესაკუთრის ტრადიციული უფლებები სამოვრებზე და საჩივარი გამოთქვამს შეშფოთებას ამ მომხმარებლის უფლებების დაკარგვასთან დაკავშირებით. ESIA-ში მოხდა სამოვრების კატეგორიების განსაზღვრა, როგორც მიწა, რომელზეც კომლს აქვს ჩვეულებრივი მომხმარებლის უფლება და არა საკუთრების უფლება, რადგან მიწა უკვე რეგისტრირებულია სახელმწიფოს სახელზე. ოჯახები, რომლებიც კარგავენ მსგავს სამოვრებს, მიიღებენ მხოლოდ შემოსავლის დაკარგვის კომპენსაციას, მაგრამ არა მიწების დაკარგვისთვის. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები განიხილება დევნილ პირებად ამგვარი მიწების აღიარების მოთხოვნის გარეშე. [იხილეთ SPS, დანართი 2, პუნქტი. 7 (iii)].

61. ESIA-ს თანახმად, სამოვრების დაკარგვის შედეგად დაზარალებული ყველა კომლი შვიდ წლიანი პერიოდის განმავლობაში კომპენსაციას (ფულადი სახით ან სხვა სახის) მიიღებს, რადგან 5 წლის განმავლობაში დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოების განხორციელება და სამოვრების ტერიტორიების რეაბილიტაციისთვის ორი დამატებითი წელია გათვლილი. მესაქონლეობის სპეციალიზებული ექსპერტები ჩართულნი იყვნენ საკვები და სადისტრიბუციო პროცესის შესაბამისი რაოდენობის განსაზღვრაში. ეს ზომები მიიჩნევა სათანადოდ, თუ სამოვრების ტერიტორიები აუცილებლად აღდგება და შეიძლება გამოყენებულ იქნას შვიდი წლის შემდეგ. სამოვრების კომპენსაციის გრძელვადიანი გადაწყვეტა, გაცილებით ნაკლებად მკაფიოა. LARP-ის უფლების მატრიცა განმარტავს უფლებამოსილებას, როგორ: "ზემოქმედების ქვეშ არმყოფი სამოვრების ხელმისაწვდომობა". ESIA ასევე აღნიშნავს: "პროექტი შეისწავლის პირუტყვის შემოვლითი ტრასის მიზანშეწონილობას... მიუხედავად იმისა, რომ ამ ღონისძიების ძირითადი მიზანია

³² საილუსტრაციო მასალა 2, თავი 3 გვ 141

³³ მოტ მაკდოლანდი, ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, LALRP-ის შესაბამისობის აუდიტი, 9 ნოემბერი, 2017 <https://www.adb.org/sites/default/files/project-documents/49223/49223-001-scar-en.pdf>.

შეინარჩუნოს ნენსკრას ხეობის ჩრდილოეთ ნაწილის ხელმისაწვდომობა, როდესაც კაშხალი აშენდება, მას ასევე შეეძლება მოახდინოს მაჩლითჭალის სამოვრების აღდგენა, მარზათჭალის სამოვრებამდე მისასვლელად, რომელიც მდებარეობს მომავალი რეზერვუარის ზემოთ".³⁴ ESMP იძლევა საშუალებას, რომ ჩატარდეს მარშრუტის შესწავლა და კვლევა, მაგრამ არ იძლევა იმის გარანტიას, რომ აშენდება შემოვლითი გზა. კვლევა ჩატარდება EPC-ის კონტრაქტორების მიერ. გაუგებარია, EPC-ის კონტრაქტორს რატომ ჰყავს ეკოლოგიური ექსპერტი და რა ინტერესი არსებობს აღნიშნული კვლევის ჩასატარებლად. გარდა ამისა, საარსებო საშუალებების აღდგენის პროგრამაში ნათქვამია, რომ სხვა სამოვრებამდე მისასვლელი გზები გაუმჯობესდება, რათა მათ უზრუნველყონ ზემოქმედების ქვეშ მყოფილი ოჯახების გატარება, რათა მათ შეძლონ ჭკვანდირსა და ზედა მემულში მოსაგროვებელი თივის მოცულობის გაზრდა.³⁵ ეს გაკეთდება კაშხლის უბნის მთავარ კონსტრუქციის მშენებლობის დაწყებამდე, მშენებლობის დროს ქვემო მემულის სამოვრების ნაწილობრივ დაკარგვის კომპენსირებისთვის. არ არის ცნობილი მოახდენს თუ არა ESMP ამგვარი გზების უზრუნველყოფას.

³⁴ საილუსტრაციო მასალა 2, თავი 9 გვ 83

³⁵ საილუსტრაციო მასალა 2, თავი 9 გვ 57

60. არსებული პირველადი მტკიცებულებების საფუძველზე, CRP-ს არ მიაჩნია საძოვრების მიწების შესყიდვის პროცესი სათანადოდ მომზადებულად, რადგან: (i) ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახების რაოდენობა გაურკვეველია; (ii) საძოვრების გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლის კომპენსაცია, მოხმარების უფლებით მქონე საძოვრებისთვის ცნობილია შვიდწლიანი პერიოდის განმავლობაში, საკვები პროდუქტების მომარაგების ჩათვლით, მაგრამ უცნობია კომპენსაცია საძოვრების სამუდამოდ დაკარგვის შემთხვევებისთვის და შესათანხმებელია მოსახლეობასთან; (iii) ამ საკითხებზე მოსახლეობასთან კვლავ უნდა ჩატარდეს ყოვლისმომცველი საკონსულტაციო პროცესი.

61. საძოვრებზე წვდომის დაკარგვა ადგილობრივი მოსახლეობისთვის უმნიშვნელო არ არის. ზემოქმედების ქვეშ მყოფი საძოვრების საერთო რაოდენობა ნენსკრაში (მათ შორის, სატყეო მეურნეობისთვის განკუთვნილი ტყის ფართობი) 75 ჰექტარზე მეტია. ნაკრას საძოვრების შესაბამისი ციფრები არ არის მოწოდებული, მაგრამ საძოვრების ტერიტორიები შედარებით მცირეა. გრძელვადიანი კომპენსაციის საკითხებთან დაკავშირებით, მაჭლითჭალის საძოვრის საკითხი ყველაზე პრობლემურია, რადგან 40 ჰა სამუდამოდ იკარგება წყალსაცავის ტერიტორიის გამო, აღნიშნული გავლენას ახდენს შინამეურნეობების რაოდენობაზე. დღევანდელი შეფასებით, განსახლების შედეგად დაზარალებული 89 ოჯახიდან, ნენსკრას კაშხლისა და წყალსაცავის ტერიტორიაზე 25 ოჯახის საძოვრები არის ზემოქმედების ქვეშ, ხოლო ნაკრას ტერიტორიაზე 27 ოჯახის საძოვრები. ეს ციფრები წინასწარია და საჭიროებს შემდგომ კონსულტაციებს. სასაძოვრე ტერიტორიების საკუთრების უფლებები ასევე ემოციურად განისაზღვრება სვანურ თემში. ოჯახების უმრავლესობას ჰყავთ პირუტყვები და მეცხოველეობა მიიჩნევა სვანური საზოგადოების ტრადიციულ საქმიანობად, რაც ითვალისწინებს საძოვრებზე ხანგრძლივად დადგენილ უფლებებს.

62. CRP აღნიშნავს, რომ განსახლების ზემოქმედება გარკვეული კომპონენტებისთვის რომელთა პროექტი და ადგილმდებარეობა ჯერ არ დასრულებულა, კვლავაც შეფასდება. (იხილეთ ამ ანგარიშის მე-5 პუნქტი). ეს კომპონენტები მოიცავს ნაკრას ხეობასთან მისასვლელი გზების გაუმჯობესებას, ნენსკრას შემოვლითი გზის მშენებლობას, ნაგავსაყრელის ზონებს, ასევე ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობას და განსახლების ზემოქმედების შეფასებას. ESIA აღნიშნავს, რომ მოსალოდნელი არ არის, რომ დაზარალებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდოს, რადგან შეუსაბამო ინფრასტრუქტურული კომპონენტები ხაზოვანი ინფრასტრუქტურა და შესაბამისად არ გამოიწვევს განსახლების მნიშვნელოვან ზემოქმედებას. თუმცა ESIA აღნიშნავს 94.5 ჰა მიწას, რომელიც ამ კომპონენტებისთვის უნდა იქნას გამოყენებული, ნაკრას მისასვლელი გზის განახლების ჩათვლით.³⁶

63. **დასკვნა:** CRP-ს პირველადი მტკიცებულება მიაჩნია SPS-ის საგარანტიო მოთხოვნებთან შეუსაბამო რადგან (i) საძოვრების მუდმივი დაკარგვის გრძელვადიანი ზემოქმედების კომპენსაციის ზომები არ არის გათვალისწინებული და (ii) საჭიროა LALRP-ის განახლება პროექტის გარკვეული კომპონენტების განსახლებასთან დაკავშირებით, რომლებიც სრულად არ არის შემუშავებული. CRP აღნიშნავს, რომ ოჯახების 7 წლის განმავლობაში საკვები პროდუქტებით მომარაგება, საძოვრებზე წვდომის დროებითი შეზღუდვის გამო, სათანადო ღონისძიებაა.

³⁶ საილუსტრაციო მასალა 2, თავი 9 გვ 33

4. SPS კონსულტაცია და ჩართულობა

SPS

პუნქტი 53. ინფორმაციის გასაჯაროება "... ADB ვალდებულია მსესხებელთან / კლიენტთან მუშაობისათვის უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის ... დროული ხელმისაწვდომობა, ხელსაყრელ ადგილას და იმ ფორმითა და ენაზე, რომელიც გასაგები და მისაღებია ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის და სხვა დაინტერესებულ მხარეებისთვის, მათ შორის ზოგადი საზოგადოებისთვის..."

პუნქტი 54. კონსულტაცია და ჩართულობა "ADB ვალდებულია მსესხებლებთან / კლიენტებთან მუშაობისათვის პრაქტიკაში განახორციელოს სათანადო კონსულტაციები. პოლიტიკის მოქმედებისას, სათანადო კონსულტაცია გულისხმობს პროცესს, რომელიც იწყება პროექტის მომზადების ადრეულ ეტაპზე და ხორციელდება პროექტის სრული ციკლის განმავლობაში; (ii) უზრუნველყოფს შესაბამისი და ადექვატური ინფორმაციის დროულ გამჟღავნებას, რაც გასაგები და ადვილად ხელმისაწვდომი იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის; (iii) ხორციელდება დაშინებისა ან იძულებისგან თავისუფალ ატმოსფეროში; (iv) არის გენდერის კუთხით ინკლუზიური, მგრძნობიარე და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით; და (v) გადაწყვეტილებების მიღებისას იძლევა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ყველა შესაბამისი შეხედულების გათვალისწინების საშუალებას, როგორცაა პროექტის დიზაინი, შემარბილებელი ღონისძიებები, შეღავათებისა და შესაძლებლობების გაზიარება და იმპლემენტაციის საკითხები.

ADB მოითხოვს მსესხებლისა / კლიენტისგან, ჩაერთონ შემოთავაზებული პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემთან, ჯგუფებთან ან სამოქალაქო საზოგადოებასთან ინფორმაციის გაზიარებაში, კონსულტაციებსა და ინფორმირებაში. გარემოსდაცვითი, არანებავყოფლობითი განსახლების მწვავე ზემოქმედების, ან მკვიდრი მოსახლეობის გავლენის მქონე პროექტებისთვის ADB-ის პროექტის გუნდები მონაწილეობას მიიღებენ საკონსულტაციო საქმიანობაში, რათა გაეცნონ დაზარალებულთა შემფოთებას და უზრუნველყონ მათი გათვალისწინება პროექტის დიზაინსა და გეგმაში.

დანართი 1, პუნქტი 19.

"მსესხებელი / კლიენტი განახორციელებს არსებით კონსულტაციებს ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, სამოქალაქო საზოგადოების ჩათვლით, და უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას. არსებითი კონსულტაცია არის (i) პროცესი, რომელიც იწყება პროექტის მომზადების ადრეულ ეტაპზე და მიმდინარეობს პროექტის ციკლის განმავლობაში, 1 (ii) უზრუნველყოფს შესაბამისი და ადექვატური ინფორმაციის დროულ გამჟღავნებას, რაც გასაგები და ადვილად ხელმისაწვდომია ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის; (iii) ხორციელდება დაშინების ან იძულებისგან თავისუფალ ატმოსფეროში; (iv) არის გენდერის კუთხით ინკლუზიური, მგრძობიარე და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით; და (v) გადაწყვეტილებების მიღებისას იძლევა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ყველა შესაბამისი შეხედულების გათვალისწინების საშუალებას, როგორცაა პროექტის დიზაინი, შემარბილებელი ღონისძიებები, შეღავათებისა და შესაძლებლობების გაზიარება და იმპლემენტაციის საკითხები. საკონსულტაციო პროცესი და მისი შედეგები უნდა იყოს დოკუმენტირებული და ასახული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში. "

დანართი 2, პუნქტი 28.

"მსესხებელი / კლიენტი გამართავს არსებით კონსულტაციებს ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან, მასპინძელ თემებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან პროექტთან და ქვეპროექტთან იდენტიფიცირებულ განსახლების საკითხებთან დაკავშირებით. არსებითი კონსულტაცია არის (i) პროცესი, რომელიც იწყება პროექტის მომზადების ადრეულ ეტაპზე და მიმდინარეობს პროექტის ციკლის განმავლობაში, 1 (ii) უზრუნველყოფს შესაბამისი და ადექვატური ინფორმაციის დროულ გამჟღავნებას, რაც გასაგები და ადვილად ხელმისაწვდომია ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის; (iii) ხორციელდება დაშინების ან იძულებისგან თავისუფალ ატმოსფეროში; (iv) არის გენდერის კუთხით ინკლუზიური, მგრძობიარე და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით; და (v) გადაწყვეტილებების მიღებისას იძლევა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ყველა შესაბამისი შეხედულების გათვალისწინების საშუალებას, როგორცაა პროექტის დიზაინი, შემარბილებელი ღონისძიებები, შეღავათებისა და შესაძლებლობების გაზიარება და იმპლემენტაციის საკითხები. მსესხებელი / კლიენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოციალურად დაუცველ ჯგუფების, განსაკუთრებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფების, უსახლკაროების, ხანდაზმულების, ქალების, ბავშვების, მკვიდრ ხალხების და საკუთრებაზე ლეგალური უფლების არ მქონე პირების საკითხებს.

66. მომჩივნები აცხადებენ, რომ მათთან არ მოხდა არსებითი კონსულტაციების გამართვა, რადგან ისინი გამოხატავდნენ შემფოთებას ESIA-ს (2015) გასაჯაროების შემდეგ 2015 წლის ივნისიდან და მათი შეხედულებები არ არის გათვალისწინებული შესწორებულ ESIA-ში. ისინი კიდევ ერთხელ აცხადებენ, რომ შეხვედრები არ წარმართა საკონსულტაციო ფორმაში, არამედ ისინი ჩატარდა დაშინებით. მენეჯმენტის პასუხში

აღნიშნულია ADB-ის თანმიმდევრული ძალისხმევა აქტიური და მდგრადი კონსულტაციების ჩატარების კუთხით და ნათქვამია, რომ შეხვედრებზე, რომელსაც ესწრებოდნენ ADB-ის წარმომადგენლები ადგილი არ ჰქონია დაშინებას.

67. უნდა აღინიშნოს, რომ ADB მხოლოდ 2015 წლის დასაწყისში ჩაერთო პროექტში. ამ დროისათვის ESIA (2015) დასრულებული იყო და გასაჯაროების შეხვედრები უკვე ჩატარებული იყო ქართული მოთხოვნების შესაბამისად. კრედიტორულმა ჯგუფმა ჩატარებული კონსულტაციები არასაკმარისად მიიჩნია და სთხოვა JSCNH-ს ჩაეტარებინა უფრო ინტენსიური და არსებითი კონსულტაციები, დამატებითი ESIA-ის კვლევების ჩატარების პერიოდში. ESIA-ს ფარგლებში მომზადდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (ტომი 7), რომელიც აყალიბებს პროცესებს და წარმოადგენს შეხვედრების ჩანაწერებს. ჩანაწერები ადასტურებს მრავალჯერად შეხვედრებს, მაგრამ შეხვედრების უმეტესობა იყო ინდივიდუალური ან ძალიან მცირე ჯგუფთან, რომლებიც ხშირად არ იყო დაკავშირებული ADB-ის უსაფრთხოების საკითხებთან. დიდი შეხვედრები ჩატარდა 2015 წლის ბოლოს ჭუბერისა და ნაკრას სოფლებში და 2016 წელს, როდესაც მოხდა პროექტის საწინააღმდეგო პროტესტი ნენსკრაში. ჩანაწერები არ იძლევა იმის მტკიცებულებას, თუ როგორი ჩართულობა იყო ადგილობრივი მოსახლეობიდან ESIA-ის დამატებითი კვლევების მომზადების დროს.

68. PSOD-ის მიერ მოწოდებული ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ADB 2017 წლის შუა რიცხვებამდე, არ იყო კმაყოფილი მიმდინარე საკონსულტაციო პროცესებით, რადგან იგი არ ითვალისწინებდა მნიშვნელოვან კონსულტაციებს SPS-ის პოლიტიკის შესაბამისად. ADB-მ მითითებები მისცა სპონსორს, რომ გაეზარდა თავისი შესაძლებლობები, კონსულტაციის პროცესის გასაუმჯობესებლად. 2017 წლის აგვისტოში, როდესაც მოხდა ESIA-ს ანგარიშის საჯარო გამოქვეყნება, ADB მიიჩნევდა, რომ განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები და იმ დროისათვის ჩატარებული საჯარო კონსულტაციები შეესაბამებოდა SPS-ის საკონსულტაციო მოთხოვნებს. ADB-ის თანამშრომლებმა საქართველოში მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრაში. CRP აღიარებს, რომ პროექტის ციკლის განმავლობაში ჩატარებული კონსულტაციები ყოველთვის არ აკმაყოფილებდა SPS-ის მოთხოვნებს, მაგრამ აღიარებს, რომ ADB-ის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართულები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ საკონსულტაციო პროცესები გაუმჯობესებულიყო. როგორც ასეთი, ADB-ის თანამშრომლები მოქმედებდნენ SPS-ის, 54-ე პუნქტის და მე-19 პუნქტის შესაბამისად. 54, გვ. 19 (დანართი 1). თუმცა, CRP აღნიშნავს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი კონსულტაციები კვლავ ჩასატარებელია, რადგან არსებითი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული და მათი განხორციელება დელეგირებულ იქნა ESMP-ის ფარგლებში, რომელიც ჯერ კიდევ განსახორციელებელია. მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებები, მაგალითად, ენერგოსადგურის ხმაურის ზემოქმედებასთან და სამშენებლო საქმიანობასთან მიმართებაში, რომელიც დაკავშირებულია აფეთქებასა და მშენებლობასთან დაკავშირებული ზემოქმედებასთან, მშენებლობის დროს მუშების შემოღინებასთან მოითხოვს სიღრმისეულ და სათანადო კონსულტაციებს. გარდა ამისა, სათანადო კონსულტაციები უნდა ჩატარდეს იმ პირებთან, რომლებიც არიან ზემოქმედების ქვეშ სამოვრების ტერიტორიების

ეკონომიკური განსახლების გამო და ასევე გარემოსდაცვითი ზემოქმედებების და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ჯერ არ დასრულებულა.

69. **დასკვნა:** ADB-ის თანამშრომლების მიერ საკონსულტაციო პროცესების გასაუმჯობესებლად განხორციელებული მნიშვნელოვანი ძალისხმევის გათვალისწინებით, CRP ასკვნის, რომ არსებობს SPS-თან ფართო შესაბამისობა. თუმცა უნდა მოხდეს მნიშვნელოვანი, შემდგომი კონსულტაციების ჩატარება მრავალჯერადი ზემოქმედების შეფასებისა და შემარბილებელი ღონისძიებების გატარებისთვის, რომელიც ჯერ არ დასრულებულა და განსაზღვრულა ESMP-ში.

B. არსებობს თუ არა სავარაუდო ზიანის პირველადი მტკიცებულება, რომელიც დაკავშირებულია ADB-ის საოპერაციო პოლიტიკასა და პროცედურებთან შეუსაბამობასთან?

C. CRP მიიჩნევს, რომ ექსპლუატაციისა და მშენებლობის პროცესში ხმაურისა და ვიბრაციის და საზოგადოების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული მრავალი ზემოქმედება არ არის ადეკვატურად შეფასებული და შერბილებული ღონისძიებები განსაზღვრული. CRP აღიარებს, რომ ESMP ითვალისწინებს, ზოგიერთი შეფასების განხორციელებას EPC-ის კონტრაქტორების მიერ, მაგრამ არ განიხილავს დასაშვებობას. სხვა გამოვლენილი ზემოქმედებებისათვის არ არის დაგეგმილი შეფასების ან შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება. CRP-ს აზრით, არსებობს პირველადი მტკიცებულებები, რომ ზემოქმედების არასრულყოფილი შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები სავარაუდოდ ზიანს მიაყენებს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას. ტრადიციული მიწათსაკუთრების უფლებების არასრულმა შეფასებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკური განსახლებისთვის არაადეკვატური კომპენსაცია. CRP მიიჩნევს, რომ ADB-ის საოპერაციო პოლიტიკასა და პროცედურებთან მუდმივი შეუთავსებლობის სტატუსი უშუალოდ გამოიწვევს ამ ზიანს, რომელთა მატერიალიზაცია მოხდება რაც სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას და შემდგომი ექსპლუატაციის დროს. (იხ. პუნქტები 24, 29, 52, 57 და 65).

C. შეუსაბამობა

70. CRP-მ შეისწავლა ანგარიშვალდებულების მექანიზმის 142-ე და 148-ე პუნქტების შეუსაბამობა და დაასკვნა, რომ საჩივარი არ განეკუთვნება იმ საკითხებს, რომლებიც გამორიცხებულია შესაბამისობის მიმოხილვის ფუნქციიდან. (იხილეთ ანგარიშის მე -3 დანართი). მემორანდუმში მითითებულია, რომ 2018 წლის 12 იანვარს CRP-ის ხელმძღვანელობამ განაცხადა: "PSOD აღნიშნავს, რომ მომჩივნებმა მოითხოვეს ანონიმურობა, ამიტომ არ არის შესაძლებელი პროექტის გუნდის მიერ მათი გადამოწმება და ასევე იმის შემოწმება ჰქონდათ თუ არა მათ ADB-სთან დაკავშირების მცდელობა. დღეისათვის PSOD გამოეხმაურა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ყველა პირს და გადაწყვიტა საკითხი. პოლიტიკის 142-ე პუნქტი ცხადყოფს, რომ საჩივრები არ განიხილება, თუ მომჩივნები არ გამოიყენებენ კეთილსინდისიერ ძალისხმევას, შესაბამის საოპერაციო დეპარტამენტთან საჩივარში არსებული საკითხების მოსაგვარებლად. ჩვენი მონაცემებით, აღნიშნული მცდელობები არ განხორციელებულა. "CRP-ს, საჩივართან ერთად მიიღო კრედიტორებისათვის (ე.ი. EIB, EBRD, AIB და ADB) გაგზავნილი რამდენიმე წერილის ასლი.

წერილებს, რომლებიც დათარიღებულ იქნა ივლისსა და სექტემბერში, ხელი მოაწერეს ადამიანთა ჯგუფებმა, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ საჩივარში. წერილები ასევე გაეგზავნა ADB-ს. ADB-ის ფარგლებში, ეს საჩივარი ჩვეულებრივ გადაეცემა / ეგზავნება დეპარტამენტს, რომელიც ახორციელებს შემოთავაზებულ სესხს, რომელიც ამ შემთხვევაში არის PSOD. მომჩივნებმა არაერთხელ დაწერეს მიმართეს საჩივრით IFI კრედიტორების ჯგუფს. CRP მიიჩნევს, რომ მომჩივანებმა წარმოაჩინეს სათანადო კეთილსინდისიერი ძალისხმევა საჩივრების / საკითხების ოპერაციების დეპარტამენტთან მოგვარებასთან მიმართებაში. ეს არ არის მომჩივანთა პასუხისმგებლობა საჩივარი გადაუგზავნონ ADB-ის კონკრეტულ ერთეულს, რადგან არ არის მოსალოდნელი, რომ მომჩივნები იცნობდნენ ADB-ის შიდა საოპერაციო სტრუქტურას. ADB-ის ამოცანაა, რომ მიღებული წერილები სათანადოდ იქნას განაწილებული შესაბამის პასუხისმგებელ ოპერაციების დეპარტამენტზე. რომლითაც მიღებული წერილები სათანადოდ ეგზავნება პასუხისმგებელ ოპერაციულ დეპარტამენტს. რადგან მომჩივანებმა მოითხოვეს თავიანთი ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვა, CRP-ს არ შეუძლია PSOD-ს წარუდგინოს მტკიცებულებები.

VI. შესაბამისობის ანალიზის პანელის განსაზღვრა

72. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, CRP ხაზს უსვამს პოზიციას, რომ საჩივარი არ წარმოადგენს გამონაკლისს რომელიც მითითებულია ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის 142-ე და 148-ე პუნქტებში. CRP განსაზღვრავს ADB-ის ოპერაციულ პოლიტიკასთან და პროცედურებთან, კერძოდ SPS-თან პირველადი მტკიცებულების შეუსაბამობას, და მასთან დაკავშირებულ სავარაუდო ზიანს, რომელიც გამოწვეულია:

- i. პროექტის ალტერნატივების არასაკმარისი შეფასება (წინამდებარე ანგარიშის 24-ე პუნქტი);
- ii. დაკავშირებული ობიექტების ეკოლოგიური ზემოქმედების არასაკმარისი შეფასება (წინამდებარე ანგარიშის 29-ე პუნქტი);
- iii. ხმაურისა და ვიბრაციის ზემოქმედების არასაკმარისი შეფასება მშენებლობისა და ოპერაციების დროს და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების არასაკმარისად შეფასება (წინამდებარე ანგარიშის 52-ე პუნქტი);
- iv. ESMP-ის არასრული სტატუსი და ზემოქმედების შეფასების დელეგაცია და EPC-ის კონტრაქტორებს შემარბილებელი ღონისძიებების პროექტი (იხილეთ წინამდებარე ანგარიშის 57-ე პუნქტი); და
- v. საძოვრების ტერიტორიის არანებაყოფლობითი განსახლებისთვის არასრულყოფილი შემარბილებელი ღონისძიებები. (იხილეთ წინამდებარე ანგარიშის 65-ე პუნქტი).

73. ანგარიშვალდებულების მექანიზმის 179-ე პუნქტის შესაბამისად, CRP საჩივარს მიიჩნევს დასაშვებად. 182-ე პუნქტის შესაბამისად, CRP რეკომენდაციას აძლევს საბჭოს მოახდინოს წინამდებარე პროექტის შესაბამისობის ანალიზი.

/S/დინგდინგ ტანგი

თავმჯდომარე, შესაბამისობის ანალიზის პანელი

/S/არნტრაუდ ჰარტმანი

შტატგარეშე წევრი, შესაბამისობის ანალიზის პანელი

/S/აჟაი დეშანდე

შტატგარეშე წევრი, შესაბამისობის ანალიზის პანელი

8 თებერვალი 2018

მანილა, ფილიპინები

შესაბამისობის ანალიზის მოთხოვნა

[შესაძლო გაყალბებული გამგზავნი] პასუხი: პასუხი: საჩივარი
საქართველოში ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის შესახებ

დათო ჩიპაშვილი, amcro

ასლი: მანანა, ვავა ვანგი

ვისგან "დათო ჩიპაშვილი" <dchipashvili@greenalt.org>

ვის <amcro@adb.org>

ასლი <manana@bankwatch.org>, <wawa.wang@bankwatch.org>

ქალბატონო რუბინოს,

დიდი მადლობა თქვენი წერილისთვის. რადგან საჩივრის შედგენა მოხდა ადგილობრივების სრული ჩართულობით, შესაბამისობის ანალიზის ფუნქციის შერჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება საბოლოოა.

პატივისცემით,

დავითი

მწვანე ალტერნატივა

აზიის განვითარების ბანკი გეგმავს ნენსკრას 280 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (HPP) დაფინანსებას. ნენსკრას HPP ერთ-ერთია იმ 35 ენერჯო სადგურიდან რომლის აგებაც დაგეგმილია ზემო სვანეთში (საქართველო). პროექტი ხორციელდება სახელმწიფო საპარტნიორო ფონდის და კორეის სახელმწიფო კომპანია K-water-ის მიერ. პროექტის დოკუმენტაცია გამოქვეყნდა აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდზე. სოფლების ჭუბერი და ნაკრა მოსახლეობას ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ ნენსკრას HPP -ს მშენებლობასთან დაკავშირებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა გამოიწვევს ცხოვრების დონის კლებას და გაზრდის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს.

ჩვენი შეშფოთებები და შიშები უკავშირდება რამდენიმე საკითხს, მათ შორის

1. მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ჩვენ, სვანებს საქართველოს ერთ-ერთ ეთნიკურ ქვე-ჯგუფს გაგვაჩნია ჩვენი კულტურა და რელიგიური ტრადიციები, უნიკალური ენა და კანონები, რომელიც გავრცელებულია რეგიონის ყველა თემში, ჩვენ ვაღიარებთ წინაპრების ადათ წესებს მიწის მფლობელობასთან დაკავშირებით, ჩვენ ვაგრძელებთ ტრადიციულ საქმიანობას (სოფლის მეურნეობა, მესაქონლეობა, ხეზე მუშაობა, ხელოსნობა და აშ). ჩვენ წარმოვადგენთ მკვიდრ მოსახლეობას. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ ჩვენც გვაქვს სიტყვის უფლება და მთავრობაც უნდა დაგვეთანხმოს, რადგან პროექტი ხორციელდება ჩვენს რეგიონში. თუმცა მთავრობა არ ითვალისწინებს ჩვენს მოთხოვნებს და პროტესტს, რაც დაკავშირებულია სვანეთის მდგრად განვითარებასთან, მისი მოსახლეობისა და ბუნების დაცვასთან.

გვსურს ხაზი გავუსვათ, რომ რეალურად 2012 წლის შემდეგ საზოგადოების ჩართულობის პროცესი არ ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის დაანონსება მოხდება ყოველი პრეზიდენტის, სააკაშვილის მიერ, რომელიც ადგილზე მოვიდა ჩინურ კომპანია სინოჰიდროსთან ერთად და გაიმართა გახსნის დიდი ცერემონია, არ მომხდარა ადგილობრივ საზოგადოებასთან. უბრალოდ აღინიშნა, რომ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყება მოხდებოდა 2015 წელს.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ვართ მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც რამდენიმე ათასი წერილი ცხოვრობს ამ რეგიონში, მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს მკვიდრი ხალხების პოლიტიკის გამოყენება და მთავრობას, ისევე როგორც პროექტის სპონსორებს უნდა ეკითხათ გვსურდა თუ არა ასეთი ტიპის პროექტის განხორციელება.

ბოლო 40 წლის განმავლობაში სვანეთის მოსახლეობა იბრძვის ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის წინააღმდეგ, რომლის მშენებლობაც ჩვენგან 20 კმ-ის დაშორებითაა დაგეგმილი, ხაიშის დასახლებაში. ამასთანავე მთავრობა გეგმავს კიდევ 33 ჰესის მშენებლობას რეგიონში, მათ შორის 5 დიდი წყალსაცავისა და კაშხლის პროექტს. მესტიაჭალაში, მესტია უკვე დაიწყო 50 მეგავატი სიმძლავრის ჰესის მშენებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 სექტემბერს მდინარემ დატბორა ჰესის ტერიტორია და მისი

მიღები.

საზოგადოების ჩართულობა

გარემოზე ზემოქმედების შეფასების გამოქვეყნებამდე გაიმართა რამდენიმე შეხვედრა, მათ შორის ჩვენი მოთხოვნით გამართული შეხვედრა გარემოს დაცვის სამინისტროში. ჩვენს მიერ დაყენებული რამდენიმე მწვავე საკითხის მიუხედავად 2015 წლის ოქტომბერში გარემოს დაცვის სამინისტრო პროექტის ნებართვა გასცა.

2016 წლის მაისში ჩვენი პროტესტი და გზის გადაკეტვა პოლიციის რეიდით დასრულდა, 8 ადამიანი იქნა დაკავებული, მათ შორის ქალები და ბავშვები. 2016 წელს ჩვენ ზეწოლის შედეგად თანხმობა გვათქმევინეს პროექტზე.

ამის მიუხედავად, პროტესტის შემდეგ რამდენიმე საჯარო მოსმენა გაიმართა პროექტის განმხორციელებელი K-waters-ის, ასევე იტალიური ქვე-კონტრაქტორის Salini Impregilo -ის ინიციატივით, აღნიშნული შეხვედრების დროს ვერ მივიღეთ პასუხები ჩვენთვის საჭირობო საკითხებზე (იხ. ქვემოთ). ამასთანავე დიდი ზეწოლა განხორციელდა და ხორციელდება ინდივიდუალურ დონეზე, მაშინ როცა გვეუბნებიან რომ თანხმობა უნდა განვაცხადოთ პროექტზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჩაგვიდებენ ნარკოტიკებს ან გვაშინებენ რომ არ გადაიღებენ ჩვენი შეხვედრების ვიდეოებს.

2017 წელს გამოქვეყნდა გარემოზე ზემოქმედების ახალი დოკუმენტი, თუმცა იგი კვლავ არ პასუხობდა ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის პროექტთან დაკავშირებულ რისკებს, პროექტის საჭიროებას, მიწის ტრადიციულ მფლობელობას და მის კომპენსაციას.

2017 წლის აგვისტოში, განხილვების დროს, კომპანიის წარმომადგენლებისგან კვლავ ვერ მივიღეთ პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე. თითოეული უხერხული შეკითხვისას, ორგანიზატორები ითხოვდნენ შემდეგი კითხვის დასმას.

გეოლოგიური რისკები

ნაკრას და ჭუბერის ხეობა განთავსებულია მეწყერ საშიშ და სეისმურად აქტიურ ზონაში. წყალსაცავის ადგილიც ასევე წარმოადგენს მეწყერ საშიშ ზონას, შესაბამისად, ფერდობებზე ტყეების გაჭრა, წყლის დაგუბებასთან ერთად მნიშვნელოვნად შეცვლის მიკროკლიმატს და გაზრდის მეწყერის წარმოშობის რისკებს.

სოფელ ნაკრაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ღვარცოფ საშიში მდინარეები, რომელთაც ჩამოიტანეს დიდი რაოდენობით ნარჩენები და მდინარე ნაკრა ახდენს მათ ჩარეცხვას. მდინარე ნაკრას მცირე ზომის ნაკადულებად დატოვების შემთხვევაში შესაძლოა თავიდან იქნეს აცილებული ნარჩენების ჩარეცხვა და სოფელი აღმოჩნდება სტიქიური უბედურების წინაშე. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე წლის წინ, მდინარის მიერ ჩამოტანილმა ნარჩენებმა წაიღო რამდენიმე სახლი და სასაფლაოს ნაწილი.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მდინარეები არ იქნა შეტანილი 2015 წლის EIA-ში, რომლის ნებართვაც გაცემულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ. ESIA-ს 2017 წლის დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ განხორციელდება მონიტორინგი და იმ შემთხვევაში თუ გაზაფხული პერიოდში დაფიქსირდება დიდი ოდენობით ნარჩენების დაგროვება, მოხდება წყლის დინების შეჩერება. თუმცა არ ვიცით აღნიშნული ნამდვილად უსაფრთხო იქნება თემისთვის თუ არა. მაგალითად, რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ მონიტორინგის სისტემა გამოვა მწყობრიდან და/ან არ იმუშავებს ისე როგორც ეს დაგეგმილია?

წყლის გარემოს ცვლილების ზრდის რისკები

- მდინარე ნენსკრას მოცულობის მხოლოდ 5% პროცენტის დატოვება მოხდება, ხოლო ნაკრას შემთხვევაში 10%-ის. საკმარისი იქნება თუ არა ეს მოცულობა ნარჩენების გადასატანად? ამასთანავე, აღნიშნული გავლენას იქონიებს თევზებზე, რომელიც EIA-ის მონაცემებით არ არსებობს, თუმცა ჩვენ ვთვავთ. აღნიშნულს ასევე ექნება გავლენა მინერალურ წყალზე, რომელიც მდინარის გასწვრივ მდებარეობს და რომლიდანაც მოსახლეობა იღებს სხვადასხვა ტიპის სპა წყლებს.

ამავდროულად, მდინარე ნენსკრა და ნაკრა წარმოადგენენ სოფლისთვის მნიშვნელოვან მდინარეებს. მიუხედავად იმისა, რომ EIA-ში ნათქვამია, რომ მდინარის ნაკადის შემცირება გავლენას არ იქონიებს სოფლის მეურნეობაზე და წყლის ხელმისაწვდომობაზე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ პროექტს უარყოფითი გავლენა ექნება როგორც მინერალურ, ისე გრუნტის წყლებზე და შესაბამისად უარყოფითად იმოქმედებს ჩვენს საქმიანობაზე და საარსებო საშუალებებზე და გაიზრდება წყლის მისაწვდომობის პრობლემა.

მიკროკლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემები

ჩვენ ასევე შეშფოთებულები ვართ ასევე იმასთან დაკავშირებით თუ როგორი იქნება წყალსაცავის ზემოქმედება მიკრო კლიმატზე. 2017 წლის EIA-ში ნათქვამია, რომ პროექტს არ ექნება გავლენა მიკროკლიმატზე და ამ კუთხით არ ღირს ღელვა. თუმცა, იგი არ ამბობს, რომ 2015 წლის ESIA-დან ამონარიდი არ შეესაბამება სინამდვილეს „მისი [წყალსაცავის] ზემოქმედება კლიმატზე იქნება მნიშვნელოვანი გაზაფხულზე, როდესაც ყინული დაიწყებს დნობას და შემოდგომაზე, ყინულის ჩამოყალიბებამდე. წყლისა და ჰაერის ტემპერატურას შორის მკვეთრი განსხვავება და ძლიერი ქარები გააძლიერებს აორთქლებას. აორთქლებული ტენი დაფარავს შენობებსა და ხეხილის ხეებს თრთვილის სახით და დააზიანებს მათ. ადრეული ყინვებით გამოწვეული ზიანი უფრო ძლიერია რადგან იგი აზიანებს კვირტებსა და ყლორტებს და საბოლოოდ გამოიწვევს ხეების ადრეულ დაბერებას, ხილის გარეშე დარჩენას და მცენარეების კვდომას. იმ ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლებსაც აწუხებთ რევმატიზმი და/ან საჭიროებენ რესპირატორული ან კარდიო-ვასკულარული დაავადებებისგან მკურნალობას, უფრო გაუარესდება.“

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შედეგად, ჩვენს ხეობებში ტენიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და გამოიწვია არა მხოლოდ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების ზრდა, არამედ გაზარდა ზვავების, მეწყერებისა და ღვარცოფების რისკები. 1976 და 1987 წლებში ჭუბერის ქარბუქმა და ზვავებმა გაანადგურა სოფლის ნაწილი. გადარჩენილი მოსახლეობა გადასახლებულ იქნა დმანისში (ქვემო ქართლი). ჩვენ ვშიშობთ, რომ გაზრდილი ტენიანობა, გეოლოგიური და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების გამო, საბოლოოდ მოხდება ჩენი გადასახლება.

ტრადიციული მფლობელობა

ნენსკრას წყალსაცავი დატბორავს სამოვრებსა და ტყეებს, რომელიც ჩვენთვის და ჩვენი წინაპრებისთვის წარმოადგენს საარსებო საშუალებას. სოფლის მაცხოვრებლებმა ჯერ კიდევ არ იციან თუ რა ბედი ელის მათ ტრადიციულ მიწებს. მთავრობასა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება კონფიდენციალურია და არ არის გასაჯაროებული. სამინისტროებისთვის არ არის ცნობილი თუ ვის მფლობელობაშია მიწები, რომელიც ერთ დროს იყო სახელმწიფო მფლობელობაში, მაგრამ პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააუქმა სატყეო ფონდი. თუმცა პროექტის დეველოპერები დაგვპირდნენ, რომ მიწის შესყიდვის საკითხები განხილული იქნებოდა მოსახლეობასთან საჯარო კონსულტაციების დროს,

თუმცა, შეხვედრებისას დეტალური პასუხები არ მიგვიღია, მათ შორისაა 2017 წლის აგვისტოში.

ამასობაში კომპანია, თავის Facebook გვერდზე (15 აგვისტო 2017) აცხადებს, რომ მან თითქმის დაასრულა მიწის შესყიდვის პროცედურა.

თუმცა, კომპანიის ერთ-ერთ პასუხში ნათქვამია, რომ მოსახლეობის უმეტესობამ შესაძლოა არ იცოდნენ (გამოქვეყნებულია 2017 წლის 11 ოქტომბერს), ბიზნესი და ადამიანური უფლებები) მიწის შესყიდვასთან დაკავშირებით, რადგან გარკვეულ შემთხვევაში, მაგალითად ნაკრას შემთხვევაში, მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა.

აღნიშნული ეწინააღმდეგება კომპანიის საკუთარ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმას და განხორციელების განრიგს, რომლის გამოცემაც მოხდა 2017 წლის მარტში. ამ პერიოდში ჩვენ შევიტყეთ, რომ 700 ჰექტარი მიწა მთავრობის მიერ უკვე იქნა გადაცემული კომპანიისათვის 1 ლარად.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის EIA-ში არ არის გათვალისწინებული დაკავშირებული ინფრასტრუქტურა, ასევე არ არის განმარტებული თუ რა რაოდენობის მიწა იქნება პროექტისთვის საჭირო. გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში ასევე არაფერია ნათქვამი თუ რა გზით მოხდება 220 კილოვატიანი გადამცემი ხაზის გაყვანა, რომელიც ასევე პრობლემას ქმნის სოფელ ლახამის მაცხოვრებლებისთვის. არც ერთ აღნიშნულ შეკითხვაზე ჩვენ ვერ მივიღეთ პასუხი კომპანიისგან. ჩვენ ვფიქრობთ რომ კომპანიას მიაჩნია, რომ ზემოქმედება იქნებ მინიმალური, რაც ბევრ კითხვას ბადებს სოფელ ლახამის მაცხოვრებლებში.

სოციალური ზემოქმედება

მიგვაჩნია რომ სოციალური ზემოქმედება არ არის სათანადოდ შესწავლილი და განხილულია მხოლოდ პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფებზე სოციალური ზემოქმედება. პროექტი არ განიხილავს მნიშვნელოვან ზემოქმედებას როგორცაა მაგალითად სოფლის მეურნეობაზე, გაზრდილი სატრანსპორტო მოძრაობა და უსაფრთხოება, ზემოქმედება ქალებზე და აშ.

პროექტის კონტრაქტი

კონტრაქტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ბევრი თხოვნის მიუხედავად, მათ შორის 27 აპრილის და 22 აგვისტოს შეხვედრებზე, როდესაც ადგილობრივმა მოსახლეობამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა პირდაპირ მოითხოვეს კონტრაქტის გასაჯაროება. კომპანიისა და მთავრობის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს მის გასაჯაროებაზე რაიმე განმარტების გარეშე. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის ღირებულება ძალიან მაღალია -1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი, და რომ იგი წარმოადგენს საჯარო-კერძო პროექტს, მიგვაჩნია რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნას კონტრაქტის საჯაროობა.

ამავდროულად კონტრაქტის გამჭვირვალობის გარეშე შეუძლებელია მისი ქვეყნისადმი ეკონომიკური სარგებლის განსაზღვრა, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს პროექტზე დათანხმების ან არდათანხმების კუთხით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით შეისწავლოთ პროექტის ზემოქმედება გარემოზე და მისი შესაბამისობა ADB-ის უსაფრთხოების სტანდარტებთან, ასევე თუ რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს პროექტმა ჩვენს საარსებო საშუალებებზე და ცხოვრების ხარისხზე.

გთხოვთ, ასევე დაიცვათ ხელმომწერთა ვინაობის კონფიდენციალურობა, რათა თავიდან

ავიცილოთ სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან მათზე ზეწოლა. აქვე ჩვენ საჩივრის

წარმოდგენის უფლებამოსილებას ვანიჭებთ ასოციაცია მწვანე ალტერნატივის დირექტორს, ქალბატონ მანანა კოჭლამეს და მწვანე ალტერნატივის IFI კოორდინატორს, ბატონ დავით ჭიპაშვილს.

მ ე ნ ე ქ მ ე ნ ტ ი ს პ ა ს უ ხ ი

ADB

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ვიცე-პრეზიდენტის ოფისი

კერძო სექტორის და თანადაფინანსების ოპერაციები

აზიის განვითარების ბანკი

ვის: დინგდინგ ტანგს
შესაბამისობის ანალიზის პანელის თავმჯდომარეს 12 იანვარი 2018
ვიკარ კუპტა

ვისგან: ვიცე-პრეზიდენტი

საკითხი:

**GEO: ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი,
პროექტის ნომერი 49223-001.**

მენეჯმენტის პასუხი საჩივარზე

1. გიკავშირდებით თქვენი 2017 წლის 12 დეკემბრის მემორანდუმთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ზემოხსენებულ პროექტის საჩივარს და ასევე 2012 წლის ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკას.
2. პოლიტიკის ტერმინოლოგიის თანახმად, პროექტი არის „შეთავაზებული პროექტი“. მისი დამუშავება ხდება ADB-ის კერძო სექტორის ოპერაციების დეპარტამენტის (PSOD) მიერ. კომპლექსური შესწავლა კვლავაც გრძელდება და შეთავაზებული პროექტი ჯერ არ იქნა განხილული საინვესტიციო კომიტეტის მიერ.
3. PSOD აღნიშნავს, რომ მომჩივანმა პირებმა მოითხოვეს საკუთარი ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვა, შესაბამისად პროექტის გუნდისთვის შეუძლებელია იმის გადამოწმება სცადეს თუ არა მათ ADB-თან დაკავშირება. მოცემულ მომენტამდე PSOD-მ უპასუხა ყველა პირდაპირ საჩივარს, რომელიც მიღებულ იქნა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისგან და გადაწყვიტა წამოჭრილი საკითხები. პოლიტიკის 142-ე პუნქტი მკაფიოდ განმარტავს, რომ საჩივარი არ იქნება მიჩნეული დასაშვებად, თუ მომჩივანი მხარე არ ეხდება წამოჭრილი საკითხების შესაბამის საოპერაციო დეპარტამენტთან მოგვარებას. ჩვენი მონაცემების თანახმად, აღნიშნულს არ ჰქონია ადგილი მომჩივანთა მხრიდან. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ძალისხმევა დასაშვებია მომჩივანთა მხრიდან.
- შესაბამისად, პოლიტიკის შესაბამისად, მიგვაჩნია რომ საჩივარი არ უნდა იქნას მიღებული 4. და უნდა დარჩეს ამგვარად, CRP-ის მოსაზრების თანახმადაც, მანამ სანამ მომჩივანთა და PSOD-ის შორის არ შედგება დიალოგი და არ დადასტურდება, რომ ვერ მოხდა საჩივარში წამოჭრილი საკითხის დიალოგის შედეგად გადაწყვეტა.
5. PSOD-ს სურს ხაზი გაუსვას, რომ განხორციელდა პროექტის ზემოქმედების შესაბამისი სკრინინგი და კატეგორიზაცია. ჩატარდა მასშტაბური ტექნიკური კვლევები და გათვალისწინებულ იქნა კაშხლის უსაფრთხოების, წყლის გარემოს ცვლილების, გეოლოგიური რისკების, მიკრო კლიმატის, ბიომრავალფეროვნების, თევზჭერის, მკვიდრი ხალხებისა და მიწების მფლობელობის საკითხები. ზედმიწევნით იქნა გათვალისწინებული და შეფასებული თემის წარმომადგენლების მიერ წამოჭრილი საკითხები, როგორცაა ღვარცოფებთან, გრუნტის წყლებთან, მიკროკლიმატის ცვლილებასთან და სოციალურ

სტრუქტურაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემები. ყველა ^{დანართი 1} დაინტერესებულ მხარესთან განხორციელდა ფართო და საფუძვლიანი კონსულტაციები. ESIA-ის გასაჯაროება მოხდა SPS-ის მოთხოვნების შესაბამისად: შემუშავებულია მესამე მხარის მიერ სრულყოფილი მონიტორინგის გეგმები.

6. თანდართულია პასუხების უფრო დეტალური მატრიცა, რომელიც შეეხება საჩივრის წერილში წამოჭრილ თითოეულ საკითხს და მიუთითებს თუ სად არის შესაძლებელი შესაბამისი ინფორმაციის მიღება საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტებიდან.

7. დანართი: როგორც აღნიშნულია

8. ასლი: მეთიუს ფოქსს, საქართველოს წარმომადგენლობის ადმინისტრაციის დირექტორს

ჰელმუტ ფიშერს, შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭოს თავმჯდომარეს

მაიკლ ბაროვს, კერძო სექტორის ოპერაციების დეპარტამენტის დირექტორს

შანტანუ ჩაკრაბორტის, ინფრასტრუქტურის დაფინანსების განყოფილების დირექტორს, PSOD იეშიმ ელჰან კაიალარს, საქართველოში აზიის განვითარების ბანკის მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორს

მკვიდრი ხალხები:
კომპლექსური სოციალური შეფასება განხორციელდა ADB-ის IP პოლიტიკის საოპერაციო გამოყენების შესაფასებლად, დადგინდა იქნა, რომ SR4 არ შეესაბამება აღნიშნულ პროექტს (თანდართული LD გვიჩვენებს, რომ IP სკრინინგის კრიტერიუმების გამოყენება უფრო დეტალურია). მიუხედავად, იმსა რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი გარკვეული თემები (სვანები) უდავოდ ავლენენ IP სკრინინგის მახასიათებლებს, ისინი სრულად მაინც ვერ აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს. ამასთანავე, სვანების შესაძლო მოწყვლადობა პროექტის მიმართ არ გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ისინი წარმოადგენენ რეგიონის მკვიდრ მოსახლეობას. სვანების არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ მოწყვლადობასთან დაკავშირებული რისკების შერბილება, როგორც ეს განსაზღვრულია სოციალურ სტრუქტურაზე ზემოქმედების შეფასებაში (SIA), მოხდება LALRP-ის, საზოგადოებაში ინვესტირების გეგმის (CIP) და გარემოსა და სოციალური სტრუქტურის მართვის გეგმის (ESMP) მეშვეობით.

არა-ნებაყოფლობითი განსახლება:
შეფასების კომპონენტებზე დაყრდნობით, პროექტი ეკონომიკურად განასახლებს ჯამში 89 ოჯახს (392 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი), აქედან 29 ოჯახი (147 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი) შედარებით მეტად იქნება დაზარალებული ასევე საძოვრე მიწების დაკარგვის გამო. მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა (LALRP) თავდაპირველად 2015 წელს მომზადდა და კრედიტორების მოთხოვნით მასში შესწორებები შევიდა 2016-2017 წლებში, რათა მომხდარიყო განსახლების ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების სრულად ასახვა. საძოვრე მიწების დაკარგვასთან დაკავშირებული ზემოქმედების შესასწავლად დამატებითი კვლევა ჩატარდა 2016 წელს, რათა მომხდარიყო პროექტის საარსებო საშუალებების აღდგენის სტრატეგიის ინფორმირება. განხორციელდა დასრულებული და მიმდინარე მიწის შესყიდვის აქტივობების შესაბამისობის აუდიტი და შემუშავებულ იქნა მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმა. პროექტი შემდგომ შეაფასებს, შეიმუშავებს და გასაჯაროებს LALRP-ის დამატებას, დაუსრულებელ კომპონენტებთან დაკავშირებით პროექტის არსებული LALRP-ის მოთხოვნების შესაბამისად.

გარემო:
2015 წლის აგვისტოში, ESIA წარედგინა საქართველოს მთავრობას და ეკოლოგიური თანხმობა გაიცა 2015 წლის ოქტომბერში. კრედიტორების მოთხოვნებისა და ადგილობრივი თემისათვის საჭირობოროტო საკითხების გათვალისწინების მიზნით, კრედიტორების რეკომენდაციით მოხდა დამატებითი კვლევების ჩატარება შემდეგ საკითხებზე: ჰიდროლოგია, წლის ხარისხი, ბუნებრივი საფრთხეები, კაშხლის უსაფრთხოება, ბიომრავალფეროვნება და სოციალურ სტრუქტურაზე ზემოქმედების შეფასება. მოხდა უკვე განხორციელებული ქმედებების აუდიტის ჩატარება და შემუშავდა მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმა. დამატებითი კვლევების გამოქვეყნება მოხდა ADB-ის ვებ-გვერდზე 2017 წლის 17 მარტს, ხოლო განახლებული ვერსია გამოქვეყნდა 2017 წლის 14 დეკემბერს, რომელშიც ასახულია ADB-ის და კრედიტორების დამატებითი კომენტარები. კონკრეტული ღონისძიებები გათვალისწინებულ იქნა გადასინჯულ ESMP-ში და ინტეგრირებულ იქნა EPC კონტრაქტში. განხორციელდა პროექტის ალტერნატივების ანალიზი და შეტანილი პროექტის განხორციელების გეგმაში შეტანილ იქნა ცვლილებები. ESIA-ში ძირითადი შემარბილებელი ღონისძიებები მოიცავს:

დანართი 1

(1) წლის გარემოს მინიმალური ცვლილების გაორმაგება; (2) გასასვლელი გასასვლელების დამატება მდინარის მიერ ჩამოტანილი ნარჩენების ტრანსპორტირების ფუნქციისათვის; (3) ნაკრას წყალშემკრებ დამბაში თევზებისთვის გასასვლელის ინტეგრირება; (4) წყალსაცავის შემოვლითი გზის ორგანიზება თემამდე მისასვლელად; და (5) ჰაბიტატების გაძლიერება და აღდგენა. ბუნებრივი საფრთხეები (სეისმურობა, მეწყერები, ზვავები, ნარჩენების ჩამოდინება, ფერდობების სტაბილურობა) და კაშხლის უსაფრთხოება შეფასდა და გათვალისწინებულ იქნა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შემუშავებისა და გამოყენებისას. კუმულატიური ზემოქმედება შეფასდა სხვა პროექტების, ჰაბიტატების, მდინარის თევზის, მიკროკლიმატის, სეისმურობის და სოციალური ასპექტების კუთხით. შეიქმნა ექსპერტთა დამოუკიდებელი პანელი, კაშხლის უსაფრთხოების, ბუნებრივი საფრთხეებისა და სოციალური განზომილებების კუთხით რეკომენდაციების მიწოდების მიზნით. პროექტი მდებარეობს ზურმუხტის მოპოვების ადგილის სიახლოვეს. შეფასებების თანახმად, პროექტის განხორციელების ადგილას და ასევე ზურმუხტის მოპოვების ადგილის სიახლოვეს ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენაზე არაფერი მიაჩნდება. ელექტრო გადამცემი ხაზები კაშხლის ადგილამდე და ნაკრას წყალშემკრებ დამბამდე შენ კიდევ არ არის დასრულებული და უნდა შეფასდეს. აღნიშნული მოხდება იმპლემენტაციის პერიოდში. ელექტროენერჯის მოპოვება-გადაცემისთვის საჭიროა ასევე ახალი ქვე-სადგურები, გადამცემი ხაზები და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. აღნიშნული განიხილება როგორც დამხმარე ინფრასტრუქტურა და მისი აშენება მოხდება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (GSE) მიერ. მომზადდება სრული ESIA, EBRD-ის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან კონსულტაციები მიმდინარეობს 2015 წლიდან და განსაკუთრებით ინტენსიური გახდა გასული წლის შემდეგ.

საჩივარი	ADB-ის მენეჯმენტის პასუხი
აზიის განვითარების ბანკი გეგმავს ნენსკრას 280 მეგავატი	პროექტი გულისხმობს საქართველოს ჩრდილო-

